ბრძოლის ხმა

1930 წ. ნოემბერი
პარიზი

Nº 10

1930 —NOVEMRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ველიდან

ბრძოლის ველზე დიდი გაცხოველებაა. საბჭოთა მიწურულმა ფეხზე დააყენა ჩვენი ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალები. ამ ნომერში დამეჭდილი პარტიის კონფერენციის ანგარიშები ამის უტყუარი საბუთია. საქართველოს სოციალდემოკრატია შეუდრეკელათ დგას თავის პოზიციაზე, მშრომელთა და ერის სადარაჯოზე. ის შეუჩერებლათ განაგრძობს განმათავისუფლებელ ბრძოლას, მამაცურად ხელმძღვანელობს მთელ მოძრაობას და თავის გარშემო იკრებს ყველა უკმაყოფილო, ანტისაბჭოთა ელემენტებს. ის არის ერის ხერხემალი, მისი მთავარი მესაჭე, მისი უშიშარი მედროშე და წინამძღვარი.

რა ასულდგმულებს ჩვენს პარტიას, რა გზას ადგას ის და რას ითხოვს ჩვენგან, პოლიტიკური ემიგრაციისაგან?

პირველ ყოვლისა, პარტია აფასებს მამდინარე მომენტს და ადასტურებს პარტიის ხაზს, წინა ყრილობებისაგან გამომუშავებულს. საბჭოთა ტირანიის დამხობა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა იყო და დარჩება პარტიის ბრძოლის დროშათ. ამით ერთხელ და სამუდამოთ ბოლო ელება ემიგრანტთა რომანტიკას, ამ უკანასკნელ წლებში წარმოებულ პარტიულ დავას, საქართველოს განთავისუფლების შორეულ პრესპექტივათ დასახვას, რომელსაც საყოველთაო ბედნიერება წინ უნდა უსწრებდეს. ჩვენი განთავისუფლება ბოლშევიზმის დაცემასთან არის დაკავშირებული და არა იმ წყობილებასთან, რომელიც მას რუსეთში მოყვება. მოყვება კარგი რამ—გაგვახარებს; მოყვება ცუდი რამ—არ გავიზიარებთ, კარებს მაგრათ ჩაუკეტთ და ჩვენს ტაფაში მყოფ ერებს მხარში ამოუდგებით. აი აქ, ამ მომენტში, იჭრება ქართლის ბედი და ვისაც ეს ვერ შეუგნია, ვინც ამაში ყოყმანობს, ვისაც ეს ხაზი გადაჭრით ვერ ამოურჩევია—ის არ არის საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, საქართველოს სოციალდემოკრატიასთან დაკავშირებული. პარტიისათვის ეს გადაჭრილი საკითხია, წაკითხული ფურცელია, ბეჭედდასმული განჩინებაა, არა სადაოთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ასასრულებლათ ბოძებული. ამ ნიადაგზე დგას ის და მოითხოვს მასზე დადგეს არა მარტო სოციალდეოკრატები, არამედ ყველა ქართველი მებრძოლი პარტიები.

ამიტომ სრულიად ლოღიკურია პარტიის რეზოლიუცია საერთო ფრონტის შესახებ. ის ითხოვს ამ ფრონტის შედგენას და დაცვას, ანტიბოლშევიკური დემოკრატიული შეჯგუფების თავისმოყრას და საერთო მიზნისაკენ საერთო ძალღონით მიმართვას. ვინ იქნება ამის წინაღმდეგი? მხოლოდ ისინი ვინც არ იზიარებენ საერთო მიზანს, ვინც საქართველოს განთავისუფლება შორეულ, ღრუბლებში მოცურავე ელვარებათ მიიჩნია ან და ვინც თავის ჯგუფურ და კლასიურ ინტერესებს ამ საერთო მიზანზე მაღლა აყენებს. პირველ მიმდინარეობასთან დავა გათავებულია, დემოკრატიული ფრონტი დღეს სოციალისტურ ინტერნაციონალში საერთოდ მიღებულია. იტალიის ყველა დემოკრატიულ პარტიებმა უკვე დააარსეს ანტიფაშისტური ბლოკი. ხოლო ორთავე ინტერნაციონალის—სოციალისტურის და პროფესიონალურის — შეერთებულ უკანასკნელმა სხდომამ საერთო მოწოდებით მიმართა ევროპის პროლეტარიატს, სადაც ნათქვამია: «ყველა ქვეყნის დემოკრატიულმა ელემენტებმა უნდა შექმნან საერთო მთლიანი ფრონტი ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგო». დასავლეთში დღეს მხოლოდ ფაშისტური საფრთხეა; ჩვენში მისი მონათესავე ბოლშევიზმის ბატონობაა. საერთო დემოკრატიული ფრონტი აქაც და იქაც, ადილობრივი საჭიროების მიხედვით, ერთად-ერთი მისაღები საამდროვო გზა და ხიდია. პარტიამ ეს ტაქტიკური დავა საბოლოოთ გადასჭრა და მით დარჩა სოციალისტური აზროვნების ფარგლებში.

მაგრამ არის მეორე ჯურის ხალხი, რომელიც თავის თავს დემოკრატათ აღიარებს, მაგრამ საერთო დამოკრატიულ ფრონტს მაინც ებრძვის. რა საბუთით? საბუთი ერთად-ერთია—სიძულვილი სოციალდემოკრატიის. მათი უახლოესი მიზანია არა საქართველოს განთავისუფლება, არამედ საქართველოს სოციალდემოკრატიის დანგრევა. შედეგი? შედეგი ერთად-ერთი იქნება—ჩვენი პარტიის დანგრევით საქართველოს თავისუფლების დანგრევაც. ეს ისე აშკარა და ნათელია, რომ თვით ბოლშევიკები ხელს უწყობენ «სამშობლოს» გავრცელებას საქართველოში, რომ მოულოდნელი მოკავშირე გააძლიერონ. აი რას გვწერს ამის შესახებ ჩვენი პარტიის ც. კ.: «ჩვენ ვამტკიცებთ კატეგორიულათ, რომ ქართველი ხალხი მთლიანად დგას მთლიანი ეროვნული ფრონტის ნიადაგზე. ამასვე გადაჭრით ემხრობიან აქ მომქმედი პოლიტიკური პარტიები და გრძნობენ რა ჩვენს ძალას და გავლენას ქართველ ხალხზე, ცნობენ ჩვენი პარტიის გეგემონიას. ჩვენ ვაცხადებთ აგრეთვე, რომ არასოდეს ამ საკითხის შესახებ აქ დავა არ ყოფილა. ყველა იმ თავითვე გმობდენ მანდ გამდგარ ხალხის პოზიციას. მაგრამ არავინ არ ფიქრობდა თუ ის ხალხი ჩაიდენდა იმას, რაც ახლა მოუმოქმედიათ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ასათიანის წიგნი ჩვენს წინააღმდეგ და ჟურნალი «სამშობლო», რომელსაც აქ ბოლშევიკები თავისუფლად ყიდიან და რაც ერთმა პატრიოტმა ქართველმა წარმოდგენის გათავების შემდეგ დასწვა სახაზინო თეატრის წინ. ის ცხადია შეიპყრეს და გადაასახლეს» და სხვ.

როგორც ხედავთ, გამდგარ ხალხს ჩინებული მოკავშირე გამოსჩენიათ საქართველოში, მათ ლიტერატურას საქართველოს ჯალათები მფარველობენ. რისთვის? მათ აერთებთ ერთი მიზანი—გაანადგურონ სოციალდემოკრატია. მაგრამ ახლა მათ მიმატებია მესამე მოკავშირე. ეს უკვე საზღვარგარეთ, რომელსაც ძილს უფრთხობს არა მარტო ჩვენი პარტია, არამედ თვით დამოუკიდებელი საქართველოს აჩრდილიც კი. ესენიც, მეზობელ ერის ერთი ცნობილი პარტიის წევრები, გულმოდგინეთ ავრცელებენ ქართველთა შორის «სამშობლოს» და მათ ეპატიჟებიან ასათიანის დახლისაკენ. ამნაირათ, გამდგარი ჯგუფი მართლაც გამდგარია საქართველოს ხალხისაგან, მისი სულისკვეთებისაგან, მისი მწუხარების და ჭირვარამისაგან და რა გასაკვირალია პარტიას მისი საქმენი გამოეცხადებია ანტიეროვნულ საქმიანობათ. კუზიანს სამარე გაასწორებსო, ნათქვამია და ჩვენც არ ვაპირებთ მათ გამოსწორებას. მაგრამ მათ მიმდევართა შორის არიან ახალგაზდები, სულით და გულით პატრიოტები. რომელთა თვალის ახელა და საქართველოს სამსახურში დაბრუნება მეტათ საჭიროა. ან ქართველ ერთან ან მის წინააღმდეგ—მესამე გამოსავალი არ არსებობს. ქართველი ერი—ეს ერთი ფრონტია, მის წინააღმდეგ—ამ ფრონტისაგან განდგომაა. დროა ყველამ შეგნებულათ აიღოს თავისი პასუხისმგებლობა.

ამნაირათ, პარტია პირველყოვლისა ამაგრებს თავის ორგანიზაციის რიგებს, ის მოუწოდებს სოციალდემოკრატიულ ემიგრაციას მთლიანობისაკენ; ის გმობს ყოველნაირ ფრაქციულობას, შინაგან დაჯგუფებას, პარტიასან და მის ხელმძღვანელ ორგანოებთან ბრძოლას. შემდეგ, ის მოუწოდებს დემოკრატიულ ემიგრაციას ერთი ფრონტისაკენ, ერთი ბანაკისაკენ, მთლიანი ანტისაბჭოთა ლაშქრის შედგენისაკენ. ემიგრაცია იმდენათ იქნება თავის სიმაღლეზე, რამდენათაც ის ყურადიღებს ბრძოლის ველიდან გამოძახილს, არ გასწყვეტს კავშირს ხალხის პსიხოლოგიასან, ჩადგება მის კალაპოტში და დაეხმარება მას ამ საშინელ სისხლიან ბრძოლაში.

პარტიამ გამოთქვა რა თავისი გადაჭრილი აზრი ჩვენს შინაგან ურთიერთობაზე, ის არ ივიწყებს მეზობელ ერებსაც, რომელთა მიმართ ატარებს იმავე ძირითად ორგანიზაციულ პრინციპებს. დაჩაგრულ ერებთან. პირველყოვლისა მეზობლებთან კავშირი და დაახლოვება—აი საითკენ გვითითებს ის. ქართველმა ერმა კარგათ იცის, რომ ის მარტოთ მარტო დიდი რუსეთისაგან ვერ განთავისუფლდება. ის ეძებს თანამებრძოლთ, დიდ ლაშქარს, რომელთა ერთ ხაზზე, ერთი დროშით დაყენება შეიძლება. ესენია დაჩაგრული ერები. ცენტრ. კომიტეტის წერილი გვაცნობს მათ მდგომარეობას, მათში არსებულ სულისკვეთებას და მათი ორგანიზაციების მუშაობას. ყველა ამ ერს ყავს პატრონი, რომელიც ბოლშევიზმის დანგრევისთანავე ასპარეზზე გამოვა და ქვეყანას დაეპატრონება. მათთან კავშირი და მუშაობა მიგვიყვანს ნაკლები მსხვერპლით გამარჯვებისაკენ.

პარტიამ პირველათ მიიღო რეზოლიუცია კავკასიის მომავალ მოწყობის შესახებ და ამ მოწყობის პოლიტიკურ ფორმათ აღიარა კონფედერაცია. მაშასადამე, კავკასიის კონფედერაცია პარტიის ოფიციალური დროშაა და მისთვის ზრუნვა, მის ქვეშ ბრძოლა პარტიის მოვალეობაა. კავკასიის ერთა ერთ სახელმწიფოებრივ უღელში შებმა, ერთი ჭაპანის გაწევა, ჭირში და ლხინში განუყრელობა, მთავარი, ერთათ ერთი ფარხმალია ჩვენი ძლიერების და თავდებია ჩვენი თავისუფლების. «ერთათ დგომით ავშენდებით, ცალ-ცალკე დგომით დავიქცევით»—ეს სხარტულათ გამოთქმული დებულება გ. წერეთლის მიერ ამ სამოცი წლის წინეთ «დროებაში» დღეს ხდება ქართველი ერის სახელმძღვანელოთ და დგება კავკასიის პრაქტიკული პოლიტიკის დღის წესრიგში.

ერთი სიტყვით, სოლიდარობა ქართველ ერში, სოლიდარობა კავკასიის ერთა შორის, ხელიხელ ჩაკიდება ყველა ჩაგრულ ერებთან საბჭოთა კავშირისა—აი რა გვიხსნის ჩვენ, რა აგვაცილებს ახალ ტირანიას, ანარქიას და შავ რეაქციას.

და დღეს, როცა ბოლშევიზმის მიწურული დამდგარია, როცა მისი დაცემა ასე მოახლოვებულია, ჩვენ ყველას გვმართებს დიდი სიფხიზლე, დიდი შრომა და შორსმჭვრეტელობა. რომ ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაგვისხლტეს და ძველი ჯაჭვები ახალით არ შეიცვალოს...

ბრძოლის ველიდან ჩვენკენ გაისმა მძლავი ძახილი, ჩვენ გვიწოდებენ წეს-რიგისაკენ. ჩვენგან ითხოვენ მათ ფერხულში თავდადებულათ ჩადგომას. სოციალდემოკრატიული ემიგრაცია შეასრულებს პარტიის დირექტივებს; მთელი დემოკრატიული ემიგრაცია მხარში ამოუდგება მებრძოლ საქართველოს.

◆

საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციების არალეგალური კონფერენციის

ა ნ გ ა რ ი შ ი.

უ წ ყ ე ბ ა
საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშ. პარტიისა.

ძვირფასო ამხანაგებო!

მიმდინარე წლის ზაფხულში შედგა საქართველოს სოც. დემოკრატ. პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა არალეგალური კონფერენცია. ის ჩინებულათ ჩატარდა და მას დაესწრო ყველა მთავარი ორგანიზაციების დელეგატები. მისი მუშაობა გაგრძელდა სამი დღე და მან მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებანი. კონფერენციამ ჯეროვანი დასკვნა გაუკეთა პარტიის მოღვაწეობას საოკუპაციო რეჟიმთან ბრძოლაში და გადაჭრით აღიარა პარტიის ხაზის სისწორე. მან გამოიმუშავა პარტიის მიმდინარე საქმიანობის გეგმა და დასახა მისი მუშაობის მომავალი პერსპექტივები.

კონფერენცია შედგა სწორედ იმ დროს, როცა საბჭოთა დიქტატურის კედლები დაბზარულია და მისი ციხე-სიმაგრე, კომუნისტური პარტიის სიმტკიცე შერყეული. ბოლშევიკების იდეოლოგიური და პრაქტიკული გაკოტრება დღეს უკვე უდაო ფაქტია და საბჭოთა სამყაროში მისი არსებობის ცამეტი წლის თავზე მძვინვარებს საშინელი სასურსათო, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი. მისი გადალახვა საბჭოთა ქურუმებს არ ძალუძთ და საბჭოთა დიქტატურა უეჭველი კატასტროფის წინაშე დგას.

ამ დროს ოკუპაციის ქვეშ მყოფი დაჩაგრული ერები ძალას იკრებენ და საბჭოების მოსალოდნელ დაცემის შესახვედრათ ემზადებიან... ამ მუშაობაში ქართველი ერის მეთაური საქართველოს სოციალდემოკრატია კვლავინდებურათ პირველ რიგებშია და ის სავსებით მზათ არის ხელსაყრელ მომენტში საოკუპაციო რეჟიმის მემკვიდრე გახდეს და აღადგინოს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. ქართველი ერის ყველა საღი ელემენტები კი მის გარშემოა შემოკრებილი და მისი ხელმძღვანელობით ლამობს დაამხოს ტირანია და მოიპოვოს თავისუფლება.

მტერმა ვერას გზით ვერ შესძლო საქართველოს სოც. დემოკრატიის დამარცხება. თავისი ბატონობის მეათე წელზე საქართველოში მტერი იძულებულია აღიაროს, რომ მან ვერ მოახერხა საქართველოს სოც. დემოკრატიის დამარცხება—ვერც იდეურათ და ვერც ფიზიკურათ. ეს გარემოება მტერს მოსვენებას არ აძლევს და ქართველ ერს კი ამხნევებს და ბრძოლის ენერგიას მატებს. ხსენებული კონფერენცია, ამრიგათ, სოციალდემოკრატიული პარტიის და მთლიანათ ქართველი ერის მორიგი გამარჯვებაა, ის ჩვენი პარტიის სიძლიერის და სიმტკიცის საუკეთესო დემონსტრაცია იყო.

საქართველოს სოც. დემოკრატია კვლავ ძალას იკრებს, თავის რიგებს აწყობს და ემზადება მომავალი გადამჭრელი ბრძოლისათვის. უდავოა, ის ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა; ამის თავდები მისი ორგანიზაციების და ქართველი ერის სიმტკიცეა.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, მის წევრებს, მის გარეშე მდგომ ყველა ქართველ სოციალდემოკრატებს მედგრათ იდგენ პარტიულ ყრილობების და უკანასკნელ კონფერენციის მიერ გამომუშავებულ პოლიტიკურ ხაზზე; შეურყევლად გაატარონ ცხოვრებაში მისი დადგენილებები; მისცენ ხელი-ხელს და მოგროვდენ კონფერენციის მიერ არჩეულ ხელმძღვანელ ორგანოების გარშემო და მით შესაძლებელი გახადონ—მწყობრათ, ნაკლები მსხვერპლით და მეტი ნაყოფით გავთავისუფლდეთ ბოლშევიკურ ტირანიის უღლისაგან და შევიდეთ თავისუფლების სამეფოში.

გაუმარჯოს საქართველოს სოც. დემ. პარტიას!
ძირს წითელი რუსული იმპერიალიზმი!
გაუმარჯოს საქართ. დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის
ცენტრალური კომიტეტი.

ივლისი 1930 წ.
საქართველო.

— —

კონფერენციის კონსტრუქცია.

მიმდინარე წლის ზაფხულში შედგა საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა არალეგალური კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ყველა მთავარი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ცენტრალური კომიტეტის სახელით კონფერენცია გახსნა ამხ. საბამ; თავის შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა და დაახასიათა მიმდინარე კონფერენციის მნიშვნელობა და მისი მოწვევის მიზეზები.

კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გიორგი, მდივნათ ამხ. ვენერა.

კონფერენციამ აირჩია საპატიო თავმჯდომარეებათ პარტიის ლიდერი ნ. ჟორდანია და ამხ-ბი ნ. რამიშვილი, ევ. გეგეჭკორი, ვლ. მგელაძე, კ. გვარჯალაძე.

უცხოელ ამხანაგებისაგან: კ. კაუცკი, ვანდერველდე, დე-ბრიუკერი, ლ. ბლიუმი, პოლ-ბონკური, რენოდელი, მაკდონალდი, ჰენდერსონი, შეიდემანი, ველსი, მიულერი, სოუკუპი და პოტრესოვი.

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, 2) მიმდინარე მომენტი და პარტიის პოლიტიკური ხაზი, 3) ქართული ეროვნული ცენტრის საკითხი აქ და უცხოეთში, 4) სოციალისტურ ინტერნაციონალში მუშაობა და იქ წარმომადგენლის დანიშვნა, 5) პარტიული პროგრამის დამუშავების საკითხი, 6) მეოთხე ყრილობის მიერ შემუშავებული წესდების სათანადო მუხლის გავრცელება უცხოეთში არსებულ პარტიულ ორგანიზაციებზე, 7) კავშირი მეზობლებთან, 8) მთლიანი ეროვნული ფრონტი და გამდგარი ხალხის საკითხი, 9) ცენტრალურ ორგანოების და საზღვარ-გარეთელ ბიუროს არჩევნები, 10) მოწოდებით მიმართვა უცხოეთში არსებულ ყველა პარტიულ ორგანიზაციებისადმი.

მისალმებანი.

კონფერენცია ესალმება, რა ჩვენი პარტიის და სოციალისტურ ინტერნაციონალის მეთაურებს, ციხეებში გამომწყვდეულ და გადასახლებულ ამხანაგებს—გადადის მორიგ საკითხზე.

პირველი საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

შემდეგ კონფერენცია ისმენს ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ, იწონებს მას და გადადის მიმდინარე მომენტის დახასიათებაზე.

მეორე საკითხი.

მიმდინარე მომენტი და პარტიის პოლიტ. ხაზი.

(რეზოლიუცია მომენტზე)

ბოლშევიზმის დიქტატურა მთელ საბჭოთა კავშირში, მისი მუშაობის ყველა ფრონტებზე, ისტორიული აუცილებლობით, კრიტიკულ მომენტში შევიდა.

ბოლშევიკების საშინაო პოლიტიკა ცხადი ანარეკლია მისი ეკონომიური რეჟიმის. ლენინის მიერ ამართული დროშა სოციალისტურ რევოლიუციისა, სავსებით დამარცხდა და კომუნისტურმა ხელისუფლებამ მის ალაგას ხალხს შემოაპარა სახელმწიფო კაპიტალიზმი. ეს ფორმა წარმოებისა გამოიხატა ყველა საფინანსო და სამრეწველო დარგების მთავრობის ხელში თავის მოყრაში, მონოპოლიების დაარსებაში და კერძო სავაჭრო-სამრეწველო ინიციატივის დევნაში. ამან გამოიწვია მრეწველობის და აღებმიცემობის დაუძლურება და მათი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე შენახვა. აქედან დაიბადა, ე. წ. მაკრატლის სისტემა, ე. ი. მომხმარებელთათვის, უმთავრესად მუშის და გლეხისათვის, ნაკლები ღირებულების საქონლის მიცემა და მათგან მეტი ღირებულების აღება.

ეს სისტემა დაეყრდნო პროლეტარიატის ძალღონის უსაზღვრო ექსპლოატაციაზე და გლეხობის გაცარცვაზე. გლეხობამ ამას უპასუხა სამეურნეო საბოტაჟით—ხვნა-თესვის შემცირებით, თავის ოჯახის საყოფი სარჩოს მოწევით. კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავის მხრით იერიში მიიტანა გლეხობის წინააღმდეგ და გადასწყვიტა საყოველთაო სავალდებულო კოლექტივიზაციით გლეხის პროლეტარიატის მდგომარეობაში ჩაყენება—სახელმწიფოს მუშებათ გადაქცევა. მოხდა სასოფლო მეურნეობის გაუგონარი გაფლანგვა, დანგრევა და ხალხის ბოგანოთ გადაქცევა. ამ ნიადაგზე იშვა გლეხთა ფართე მოძრაობა, რამაც ბევრ ალაგას მიიღო გლეხთა აშკარა აჯანყების ხასიათი (კავკასია, უკრაინა, შორეული აღმოსავლეთი და სხვ.). მთავრობა შეშინდა, უკან დაიხია და მთელი ეს ამბავი კომუნისტების ქვედა ფენებს გადააბრალა. დაიწყო თვით კომუნისტურ პარტიაში ფართე უკმაყოფილება და მისი ფართე ნაწილების სრული პოლიტიკური და მორალური დეზორგანიზაცია.

კოლექტივიზაციის ფრონტზე დამარცხებული ხელისუფლება თავის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსასწორებლათ და მრეწველობის შესანახად, მიმართავს, ე. წ. «დემპინგს», ე, ი. ადგილობრივ სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის ნაწარმოებთა მასიურათ გატანას და მსოფლიო ბაზარზე ჩალის ფასათ გასაღებას. აქედან დაიბადა გაუგონარი ეკონომიური კრიზისი შიგნით (უსაქონლობა, უსახსრობა, ფულის კურსის დაცემა, საერთო დამშევა და სხვა).

ამ ჟამად ხელისუფლების წინააღმდეგ დგას მთელი ხალხი, ყველა მისი ნაწილები და კლასები, კომუნისტური პარტიის ქვედა ფენების დამატებით. ის სავსებით გამარტოვებულია და გავს ყოველმხრით მტრისაგან შემორტყმულ მეციხოვნეს.

ამავე დროს, ასეთსავე განმარტოებას განიცდის მოსკოვი საგარეო დამოკიდებულებაში, რომლის პოლიტიკური ურთიერთობა უკანასკნელთან იხატე-

ბა ფორმალური ურთიერთობით თავისი ოფიციალური წარმომადგენლების საშვალებით, რომელთა მუშაობა სახელმწიფოს სასარგებლოთ იხატება წვრიმალნებში.

ასეთსავე განმარტოებას განიცდის ის საერთაშორისო ეკონომიურ ბაზარზე; მისი მონაწილეობა მსოფლიო ალებმიცემობაში უმნიშვნელოა და თუ კიდევ ამ სფეროში რამეს აკეთებს—ეს სავსებით საბჭოთა კავშირის ხალხების აშკარა გაცარცვით და მათ ხარჯზე («დემპინგი»). ეს მისი დამარცხება საგარეო ფრონტზე გამოწვეულია იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც მოსკოვის დიქტატორები მსოფლიოს წინაშე აწარმოებენ. ამ ვაჟბატონებმა სრულიად ვერ აუღეს ალღო კაპიტალიზმის ახალ ვითარებას, რომელიც დამყარდა მსოფლიო ომის შემდეგ. სოციალურ პრობლემათა გადაჭრა დღეს ხდება ახალი პოლიტიკური მეთოდებით და არა იმ ალვირ-ახსნილ კატასტროფების გზით, როგორც ეს ბოლშევიკებს ქონდათ წინეთ წარმოდგენილი. ამ გარემოებამ გამოიწვია ბოლშევიზმის მთლიანად და კომინტერნის კერძოთ, დაბნევა, რასაც მოყვა მათ მიერ მთელი რიგი ავანტიურისტული მოქმედებანი როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამანვე გამოიწვია ბრძოლა თვით მუშათა კლასში და ის დაქსაქსა.

მეორეს მხრით, ბოლშევიზმმა დაბადა პირწავარდნილი რეაქცია—ფაშიზმის სახელწოდებით. დღეს უდაოთ ცნობილია, რომ მსოფლიო ფაშიზმი და ბოლშევიზმი დაძმობილებული ლეგიონებია მსოფლიო მუშათა კლასის წინააღმდეგ დარაზმული,—იმ კლასის, რომელიც დღეს მეორე სოციალ. ინტერნაციონალშია თავმოყრილია და არ მიყვება ბოლშევიკების ბლანკისტურ-ავანტიურისტულ გზას. ბოლშევიზმის მუშაობა უცხოეთში, ობიექტიურათ და ისტორიულად, წარმოებს კაპიტალიზმის სასარგებლოთ.

საბჭოთა სამყაროში კიდევ უფრო აუტანელია და ჯოჯოხეთური ჩაგრულ ერთა და კლასების მდგომარეობა. საშინელ ეკონომიურ და ფიზიკურ ჩაგვრას აქ ზედ ერთვის ეროვნული ჩაგვრა, მათი კულტურის რბევა და გაჩანაგება. თვითმპყრობელობის დროინდელი, გაშმაგებული რუსული ნაციონალიზმი, რომ დღეს სულს უხუთავს გამოფხიზლების გზაზე შემდგარ ჩაგრულ ერებს—ამას არ მალავენ თვით ბოლშევიკთა მესვეურები. სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული ათასგვარი გადახრები ნაციონალურ კომპარტიებში.

ამრიგათ, საბჭოთათა კავშირში გამეფებული საშინელი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის დროს, პირდაპირ აუტანელი ხდება მოსახლეობის მდომბრეობა, ყველა კლასები და ერები განიცდიან აუწერელ ტანჯვას. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ერთია: საბჭოთა რეჟიმის დამხობა და ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ნაციონალურ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა აღმოცენება და დემოკრატიის გამარჯვება.

გამოდის რა კონფერენცია ამ მოკლე მიმოხილვიდან თანამედროვე მომენტზე დაასკვნის და აღიარებს, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის პოლიტიკური ხაზი სავსებით სწორია და არ საჭიროებს გადასინჯვას. პარტიის გასული ყრილობათა ყველა დადგენილებანი რჩებიან ძალაში და ის სავალდებულოა პარტიულ ორგანიზაციებისათვის. მიმდინარე მომენტის მთავარი მიზანია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა და საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის გაუქმება. ეს გარემოება კი მისცემს ქართველ ერს საშვალებას ნორმალურ განვითარებისათვის და შეუქმნის შესაფერ პირობებს კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში შესასვლელათ. საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა ერების განთავისუფლება თავის მხრივ დაკავშირებულია საბჭოთა რეჟიმის აუცილებელ დაცემის ხანასთან. ეს უკანასკნელი კი, ე. ი. საბჭოთა დიქტატურის დაცემა, მოხდება მისი საშინაო და საგარეო კრიზისით, რომელიც დღეს საკმარისათ მომწიფებულია.

ბოლშევიზმი საბოლოვოთ გაკოტრდა, როგორც იდეოლოგიურათ, ისე პრაქტიკულათ: ამის მაჩვენებელია საბჭოთა კავშირში გამეფებული ეკონომიური კრიზისი და აქედან გამოწვეული პოლიტიკური კრიზისიც. მრეწველობა დაცემულია, ტრანსპორტი მოშლილია. ფულის კურსი დღითი დღე ეცემა; სასოფლო მეურნეობა განადგურებულია. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქმნა კოლექტივიზაციის გატარების ცდის შემდეგ, რაც უდიდესი მარცხით დათავდა. მოსახლეობა სავსებით გაღატაკებულია და მისი უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდება. ხელისუფლება ხალხისაგან გარიყულია მთლიანათ და ის მხოლოთ ჩეკისტთა ხროვას ეყრდნობა. რუსულმა კომუნიზმმა თავის წინააღმდეგ ყველა კლასი და ერი დარაზმა, რომელთა ინტერესი მოითხოვს საბჭოთა რეჟიმის დაცემას და მის ადგილას ნორმალური ურთიერთობის აღდგენას.

ამნაირათ მიმდინარე მომენტის მთავარი ამოცანა იქნება ხალხის პოლიტიკური მომზადება და მისი ორგანიზაციულად დარაზმვა ბოლშევიზმის სალიკვიდაციოთ და მოსალოდნელი ანარქია—არევდარევის თავიდან ასაცდენათ, რომელიც შესაძლებელია მოხდეს შიდა რუსეთში დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტების სისუსტის გამო. ამიტომ საჭიროა, აგრეთვე, ქართველი ერის ხელმძღვანელმა სოც.-დემ. პარტიამ მჭიდრო კავშირი იქონიოს სხვა ჩაგრულ ერთა დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებთან, რომ საერთო ძალღონით მათ მოიპოვონ თავისუფლება და დაამყარონ დემოკრატიული წესწყობილება.

საბჭოთა კავშირის მის ნაციონალურ ერთეულებად დანაწილება ნიშნავს დემოკრატიის გამარჯვებას და კონტრ-რევოლიუციის თავიდან აცდენას. ეს გარემოება უეჭველია გავლენას იქონიებს შიდა რუსეთის მდგომარეობაზეც და მოსალოდნელია ისიც შესდგეს დემოკრატიის გზაზე. ეს კი დიდათ სასურველი იქნება ჩაგრულ ერთათვის, რადგანაც მაშინ შესაძლებელია რუსეთმა იცნოს დაჩაგრულ ერთა უდაო უფლებები და მათი ნაციონალური თვითგამორკვევა. ამას მოითხოვს თვით შიდა რუსეთის ინტერესებიც, ვინაიდან ეს აუცილებელია მისი ნაციონალური განვითარებისათვისაც. კერძოთ საქ. სოც.-დემოკრატია ვალდებულია გაავრცელოს ქართველ ხალხში მეზობელ ერთა სოლიდარობის იდეია, კავშირი იქონიოს ამ ერთა სასიცოცხლო ძალებთან და მოუმზადოს ნიადაგი კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა კონფედერაციას.

გამოდის რა ამ გარემოებიდან საქარ. სოც.-დემ. მთელი თავისი ენერგიით განაგრძობს ბრძოლას საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. მისი მიზანია დამხობა ბოლშევიკური დიქტატურის და ჩაგრულ ერთა და კლასთა განთავისუფლება მასების რევოლიუციონური გამოსვლით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დემოკრატიის განმტკიცება და მით სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფა.

მესამე საკითხი.

ქართული ეროვნული ცენტრის შექმნა აქ და უცხოეთში.

1. საქართველოს სოც. დემ. პარტიის კონფერენცია გამოდის რა მომენტის ასეთი შეფასებიდან—მას საჭიროდ მიაჩნია ბოლშევიზმის ციხე სიმაგრის დასანგრევათ—ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების კოორდინაცია. ამ მიზნით ის ადგენს: შექმნილ იქნას საქართველოში მომქმედ ორ მთავარ პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებით—ეროვნულ-დემოკრატიულსა და სოც.-ფედერალისტებთან «ქართული ეროვნული ცენტრი», რომელიც იკისრებს ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობას შესაფერ მომენტში. მანამდე მისი მიზანი იქნება პოლიტიკურ პარტიათა შორის საინფორმაციო კავშირის გაბმა და მეზობლებთან ურთიერთობის დაჭერა. ხსენებული ცენტრი იმუშავებს შეთანხმებაში შემავალ პარტიათა ცენტრალურ ორგანოების დირექტივებით და უცხოეთში მყოფ ეროვნულ მთავრობასთან და ცენტრთან კონტაქტით და შეთანხმებით.

2. კონფერენცია იწონებს და ადასტურებს პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს გადადგმულ ნაბიჯს უცხოეთში ეროვნულ ცენტრის შექმნის სახით—ეროვნულ მთავრობასთან ერთად—და ამტკიცებს მას იმავე შეთანხმებით და შემადგენლობით.

3. ეროვნული მთავრობა კვლავ აგრძელებს უცხოეთში დიპლომატიურ მუშაობას. კონფერენცია სავსებით იწონებს მის საქმიანობას და სიამოვნებით აღნიშნავს მის მიღწევებს ამ დარგში.

4. კონფერენცია, რასაკვირველია, უდაოთ ცნობს, რომ ამ მუშაობის მთავარი ხელმძღვანელი არის უცხოეთში გახიზნული ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით და ამ მთავრობას ემორჩილება და მისი დირექტივებით უნდა მუშაობდეს ყველა იქ მყოფი საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური და არაოფიციალური წარმომადგენლები.

5. პარტია თავის მხრით აღუთქვამს მას დახმარებას და მთელ ქართველ ხალხთან ერთად ის ცნობს მას ქართველი ერის კანონიერ მთავრობათ და მის სუვერენულ უფლებათა მატარებელ ორგანოთ, რომელიც მას მიანიჭა დამფუძნებელმა კრებამ.

მეოთხე საკითხი.

ინტერნაციონალში მუშაობა და იქ წარმომადგენლის დანიშვნა.

1. კონფერენცია აღიარებს, რომ საქართველოს სოც. დემოკრატია უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა და აძლევს ინტერნაციონალში მუშაობას, რომლის გავლენა თანდათან იზრდება და მტკიცდება საერთაშორისო მუშათა კლასში. საქართველოს სოც. დემოკრატია მხურვალეთ ესალმება სოციალისტურ ინტერნაციონალს და იმედს გამოსთქვამს, რომ ის დასძლევს მის წინაშე არსებულ დაბრკოლებებს და სულ მალე გახდება ჩაგრულ კლასთა და ერთა უდიდეს ორგანოთ. კონფერენცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალის სექციები თანდათან თავისუფლდებიან ბოლშევიზმის მავნე გავლენისაგან და სოც. ინტერნაციონალი იკავებს მის მიმართ უფრო გარკვეულ და საღ პოლიტიკას და მით უახლოვდება ჩვენი პარტიის და კ. კაუცკის ხაზს.

2. კონფერენცია იწონებს პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს მიერ ინტერნაციონალში წარმოებულ მუშაობას ჩვენი პოზიციების იქ გასამაგრებლათ ამ უკანასკნელ ხანებში და მოუწოდებს ბიუროს მეტი აქტივობისაკენ.

3. კონფერენცია სავსებით იზიარებს გასულ წელს იქ წარდგენილ ბიუროს მემორანდუმს, რომელსაც მთლიანად გაეცნო კონფერენცია და დასძენს, რომ ის ნათლათ გამოხატავს პარტიის აზრს აღძრულ საკითხზე. კონფერენციას აგრეთვე დამაკმაყოფილებლად მიაჩნია ამ საკითხზე ინტერნაციონალის ეკზეკუტივის მიერ მიღებული რეზოლიუცია.

4. თავის წარმომადგენლათ სოც. ინტერნაციონალში პარტია ნიშნავს ამხ. ირ. წერეთლის მაგიერ ამხ. კ. გვარჯალაძეს, რომელიც იმუშავებს ცენტრალური კომიტეტის და საზღვარგარეთელ ბიუროს დირექტივების თანახმათ.

მეხუთე საკითხი.

პარტიული პროგრამის დამუშავება.

1. კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია პარტიული პროგრამის დამუშავება და მიღება.

2. კონფერენცია იწონებს ამხ. ნ. რამიშვილის პროექტს მეოთხე ყრილობის საპროგრამო კომისიის შესწორებებით და ავალებს საზღვარგარეთელ ბიუროს სამი თვის ვადაში, ამ დადგენილების მიღებისა დაამუშაოს და გამოსცეს ცალკე წიგნათ პარტიული პროგრამის პროექტი, რომელიც წარედგინება დასამტკიცებლათ პარტიის მორიგ ყრილობას. აქ შესწორებული პროექტი კი გადაეგზავნოს ბიუროს სახელმძღვანელოთ.

3. ხოლო მისი ყრილობის მიღებამდე, ბიუროს მიერ დამუშავებული და გამოცემული პროგრამის პროექტი ჩაითვალოს პარტიის წევრთათვის სახელმძღვანელოთ.

4. ეთხოვოს პარტიის მცხოვან ბელადს ნ. ჟორდანიას დასწეროს პარტიული პროგრამის კომენტარიები «ჩვენი პარტიული პროგრამის საფუძვლების» სახელწოდებით.

5. კონფერენცია წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს და საზღვარგარეთელ ბიუროს, რათა მიაქციოს სათანადო ყურადღება პრესაში და გამოცემებში პარტიის იდეოლოგიური მხარის გაშუქებას, ვინაიდან ჩვენს პარტიას დღითი დღე ემატება ახალგაზდა წევრები, რომელთათვის აუცილებელია სათანადო სულიერი საზრდოს მიწოდება.

მეექვსე საკითხი.

მეოთხე ყრილობის მიერ მიღებული წესდების სათანადო მუხლის გავრცელება უცხოეთში მყოფ პარტიულ ორგანიზაციებზე.

კონფერენცია ადგენს: გავრცელებულ იქნას საქართველოს ტერიტორიის გარეშე მყოფ პარტიულ ორგანიზაციებზე, რომლებიც მოკლებულნი არიან აქტიურ ბრძოლის საშვალებებს, მეოთხე ყრილობის მიერ მიღებული პარტიული წესდების სპეციალური მუხლი, რომელიც შეეხება დამხმარე ორგანიზაციებს. ამის თანახმად ყველა პარტიული ორგანიზაციები უცხოეთში აღიარებულია სოც.-დემ. პარტიის დამხმარე ორგანიზაციებათ და ისინი ემორჩილებიან ცენტრალური კომიტეტის და საზღვარგარეთის ბიუროს დადგენილებებს და დირექტივებს.

მეშვიდე საკითხი.

კავშირი მეზობლებთან.

1. კონფერენციას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია განმტკიცებულ იქმნას კავშირი საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ მყოფ ყველა ერებთან. კერძოთ, კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია მეზობლებთან ანუ კავკასიის ებებთან მახლობელ დამოკიდებულებაში ყოფნა და კავშირის გაძლიერება. ამ მიზნით კონფერენცია იწონებს უცხოეთში ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას და ადგენს გადმოტანილ იქმნას ასეთი მუშაობა ადგილობრივათაც და აქვე მოეწყოს კავკასიის ცენტრი.

2. წინადადება მიეცეს უცხოეთში მეზობლებთან მომუშავე ამხანაგებს დაამუშაონ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა კონფედერაციის პროექტი და გასწიონ ამ მხრივ სათანადო მუშაობა და მით ნიადაგი მოუმზადონ კავკასიის კონფედერაციას.

მერვე საკითხი.

მთლიანი ეროვნული ფრონტიდან გამდგარი ხალხისაგან გამიჯვნა.

კონფერენცია გაეცნო რა იმ ჯგუფის საქმიანობას, რომელიც შემოკრებილია უცხოეთში ჟურნალ «სამშობლოს» გარშემო—აცხადებს, რომ მისი «მოღვაწეობა» არის აშკარა ანტიეროვნული და ის აკეთებს მტრის საქმეს. კონფერენცია პარტიისა და მთელი ქართველი ერის საყურადღებოთ აცხადებს, რომ ყველა ანტისაბჭოთა პარტიები საქართველოს დაპყრობის დღიდან იდგნენ და დღესაც დგანან მთლიანი ეროვნული ფრონტის ნიადაგზე. საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში არ მოიპოვება არც ერთი პირი ან ჯგუფი, გარდა ბოლშევიკებისა, რომელიც თანაუგრძნობდეს ხსენებულ ჯგუფის ლაყბობას ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ძალის, სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

მეცხრე საკითხი.

არჩევნები.

1. კონფერენცია იწონებს ცენტრალური კომიტეტის მუშაობას, უცხადებს მას პარტიის სახელით მადლობას, რის შემდეგ ირჩევს ახალ ცენტრალურ კომიტეტს.

2. აგრეთვე კონფერენცია ირჩევს საზღვარგარეთელ ბიუროს თავის პრეზიდიუმით და წარმომადგენლებს უცხოეთის ქართულ ეროვნულ ცენტრში.

მეათე საკითხი.

მოწოდება საზღვარგარეთელ ბიუროს და უცხოეთის პარტიულ ორგანიზაციებს.

კონფერენციამ ითათბირა რა ამხ. წერეთლის პოზიციაზე, ვერ სცნო დასაბუთებულათ და პოლიტიკური თვალსაზრისით გამართლებულათ მისი აზრი, რომელიც გამოთქმულია «ჩვენი ტაქტიკის ძირითად საკითხში». პარტიას ყოვლად მიუღებლად მიაჩნია საქართველოს განთავისუფლების საქმე ჩამოაშოროს მიმდინარე მომენტს. პრინციპიალურად ერთა თვით გამორკვევის უფლების აღიარება, სრულიათ არ ნიშნავს ეროვნული საკითხის სოციალისტურათ გადაჭრას. ჩვენს წინაშე დღეს დგას უკვე საბოლოვოთ გამორკვეული და ძალით სუვერენობა წართმეული ერის უფლებების აღდგენა და დემოკრატიული წყობილების დამყარება, როცა სოციალურ ძალებსაც მიეცემა საშვალება მოქმედების და გამომჟღავნების. პარტია მომხრეა, რასაკვირველია, და მოხარულიც, თუ რუსეთში მომწიფდება დემოკრატიის ძალები, გაძლიერდება და გაიზრდება სოციალისტური ელემენტები და კერძოთ რუსეთის სოციალდემოკრატია და ის შექმნის პირობებს და საერთო სიტუაციას დემოკრატიის გასამარჯვებლათ, ხელში აიღებენ ძალაუფლებას და უპატრონებენ რუსეთის მილიონიან მასებს. ამ პირობებში ჩვენს ერს და პარტიას შეეძლება იქონიოს სოლიდარული და მეგობრული ურთიერთობა რუსის ერთან, თუ კი ეს უკანასკნელი შექმნის ჩვენთვის მისაღებ და პოლიტიკურად გამართლებულ ხელისუფლებას და უდაოთ იცნობს ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ რუსეთის სოციალისტები და დემოკრატიული დაჯგუფებანი, განსაკუთრებით ემიგრაციაში, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ძველი რუსული თვითმყრობელური ნაციონალიზმისაგან. საღი სოციალისტური და დემოკრატიული ელემენტები უდაოა შიგ რუსეთში წარმოიშობიან განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში და ისინი კი, იძულებული იქნებიან, როგორც ჩვენი ისე საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერთა უდაო უფლებები იცნონ. ამის ნიშნები იქ უკვე არის და ჩვენი ყურადღებაც აქეთკენაა მიპყრობილი.

დასასრულ, ქართველი ერი და მისი მებაირახტრე სოც. დემოკრატია ვერას შემთხვევაში ვერ დათანხმდება უარი სთქვას საქართველოს დამოუკიდებლობაზე და უარყოს ისტორიულათ ნაცნობი მისი ეროვნული სუვერენიტეტი. საქართველოს სოც. დემოკრატია არ ივიწყებს იმ ფაქტსაც, რომ ეროვნული თვითგამორკვევა ჩვენს პირობებში და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა—სოციალურ საკითხების გადაჭრასაც ნიშნავს, რომელსაც საქართველოს სოც. დემოკრატიას მიეცემა საშვალება აქტუალურად დააყენოს დღის წესრიგში პროგრამა მინიმუმის და შემდეგ პროგრამა მაქსიმუმის განხორციელება. სოც. დემოკრატიას ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევა მიაჩნია იმ საშვალებათ, რომელიც აძლევს ქვეყანას შესაფერ პირობებს ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებისათვის.

საქართველოს სოც. დემოკრატიას აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია განამტკიცოს კავშირი კავკასიის მასავით ჩაგრულ ერებთან და ასეთი კავშირის ნიადაგზე შექმნას კავკასიის ერთა კონფედერაცია, რომელიც მზათ იქნება საერთო ძალღონით შეებრძოლოს ყოველი ჯურის გამოსვლებს მის წინააღმდეგ. საქართველოს სოციალდემოკრატია დაინტერესებულია იმითაც, რომ იქონიოს მეგობრული ურთიერთობა და მტკიცე კავშირი რუსეთის სხვა ერებთან და დასავლეთის კულტურულ კაცობრიობასთან და მის დემოკრატიულ წრეებთან.

საქართველოს სოც.დემ. პარტიის კონფერენციას სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია ამხ. ირ. წერეთლის მტკიცება, თითქოს პარტია და მისი ლიდერები ადგენ ომის, ავანტიურის და კომბინაციების პოლიტიკის გზას. ასეთი დიდი ბრალდების წამოყენება პარტიის წინააღმდეგ და მისი დასმენა უცხოეთის სოც. პარტიებისა და ინტერნაციონალის წინაშე—კონფერენციას მიაჩნია უდიდეს შეცდომათ და ამაზე პასუხის გაცემას ზედმეტათ თვლის. თვით ცხოვრება და პარტიის მომავალი საქმიანობა გამოააშკარავებს მთელი ამ მეტათ არა სასიამოვნო ამბავის სიყალბეს და პარტია და მისი ლიდერები გამართლებული წარსდგებიან მსოფლიოს სოც. პარტიების წინაშე. ამ რიგათ ამხ. წერეთლის გამოსვლა სრულებით არ არის გამართლებული და მისი პოზიცია შეუფერებელია და მიუღებელი ჩვენი პარტიის დღევანდელი ტაქტიკისათვის. ამიტომ კონფერენცია მოუწოდებს ამხ. ირ. წერეთელს დადგეს პარტიის მთლიან ტაქტიკის სადარაჯოზე და მით ბოლომდე მიიყვანოს მისი წარსული მოღვაწეობა და დამსახურება პარტიის და საზოგადოების წინაშე.

2. საქართველოს სოც. დემ. პარტიის კონფერენცია მოწოდებით მიმართავს პარტიის ახლათ არჩეულ საზღვარგარეთელ ბიუროს შემადგენლობას და ყველა უცხოეთში არსებულ პარტიულ ორგანიზაციებს, იზრუნონ და ცხოვრებაში გაატარონ შემდეგი:

I. საქართველოს სოც. დემოკრატია ვალდებულათ ხდის მათ დაემორჩილონ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივებს და დადგენილებებს და აღკვეთილ იქნას ყოველგვარი კამათი მათ გარშემო.

II. უცხოეთში არსებული ყველა პარტიული ორგანიზაციები ემორჩილებიან და მუშაობენ პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს ხელმძღვანელობით.

III. დაიცვან მეტი კონსპირაცია და პარტიის დისციპლინა; არამც და არამც არ დაარღვიონ პარტიის წესდება და დაგმონ ინდივიდუალური, თუ კოლექტიური გამოსვლები და ფრაქციულობა.

IV. გაწმენდილ იქნას დაუყონებლივ ყველა საზღვარგარეთელი ორგანიზაციები არასასურველ ელემენტებისაგან.

V. კონფერენცია მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს ითანამშრომლონ ჩვენს საერთო საქმესთან სოლიდარულათ, გულწრფელად და მტკიცე შეურყეველი დისციპლინით. იქონიონ ურთიერთან ძმური და სოლიდარული განწყობილება და ყოველთვის მზათ იყვნენ ურთიერთის დასახმარებლათ, როგორც მატერიალურათ ისე მორალურად. და აგრეთვე უნდა ეცადონ ამხანაგები, რომ ემიგრაციის რთულ ატმოსფერაში არ გასწყვიტონ სულიერი კავშირი ჩვენს ორგანიზაციებთან და მის ფსიქოლოგიასთან.

VI. კონფერენცია გადაჭრით და ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ საქართველოში არალეგალურ პირობებში არ ქონია ადგილი არავითარ ფრაქციულობას და არც აქვს დღეს. პარტია მთლიანათ დგას პარტიის ყრილობათა მიერ გამომუშავებულ პოლიტიკურ ხაზზე და იზიარებს მის ბრძოლის ტაქტიკას, რომელიც დასაბუთებულია და განმარტებულია პარტიის ბელადის ნ. ჟორდანიას ნაშრომში «ჩვენი ტაქტიკა».

საქართველოს ს.-დ. მ. პ. ყველა ორგანიზაციებს

მოწოდება *)

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციების არალეგალური კონფერენცია მხურვალეთ ესალმება თქვენს მწყობრ რიგებს და გისურვებთ მხნეობას და სიმტკიცეს, ჩვენი პარტიის და ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

ამხანაგებო, საოკუპაციო ხელისუფლებამ ვერას გზით ვერ შესძლო ჩვენი მტკიცე ორგანიზაციების დაშლა და ის ამ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც კი მხნეთ განაგრძობს მის წინააღმდეგ ბრძოლას. ის მთელი თავისი სიძლიერით მიისწრაფვის საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისაკენ და ელტვის რუსული წითელი იმპერიალიზმის დამხობას. აი ამ ათი წლის სივრცეზე უსწორო ბრძოლაში ჩაბმული ქართველი ერის იმედი და მისი მესაიდუმლე, როგორც ყოველთვის, არის ბრძოლაში გამობრძმედილი ჩვენი პარტია; ჩვენ გვწამს, რომ ის ქართველ ხალხს მიიყვანს სრულ გამარჯვებამდე. მან არაერთხელ გადაარჩინა ქართველი ერი მტრის დარბევასა და აწიოკებას; ის უჩვენებს მას სწორ გზას თავისუფლებისათვის ბრძოლაში; ის არის მისი ნუგეშის მიმცემი და მისი ხელმძღვანელი.

მაგრამ ამ დუხჭირ პირობებში, არასოდეს ისე აუცილებელი არ ყოფილა ქართველი ხალხის სწორი ხელმძღვანელობა და მისი ბრძოლის უნარის შენარჩუნება ხელსაყრელ მომენტისათვის, როგორც დღეს. ბოლშევიკური რეჟიმი უკვე გარდაუვალ კატასტრო-

---

*) ეს მოწოდება დაიბეჭდა საქართველოში.

ფის წინაშე დგას და მისი ლიკვიდაციის ხანა მოახლოვებულია. მან უკვე გაიარა განვითარების ყველა ეტაპები, ამოსწურა ყველა შესაძლებლობანი და საშვალებანი. ამას დღეს თვით კომუნისტებიც აღარ მალავენ და სიცოცხლის შესანარჩუნებლათ უკანასკნელ ხერხს მიმართავენ. საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა მოსახლეობის სრულიად გალატაკება, მისი ეკონომიურად მთლიანი დამონება და მით მისი ბრძოლის უნარის შესუსტება. ამით იყო გამოწვეული კოლექტივიზაციის გატარების ცდა, რაშიაც კომუნისტურმა ჯალათებმა, ჩვენი მეოხებით და ქართველი ხალხის სიფხიზლით, საშინელი კრახი განიცადეს და ველური რუსული «სოციალიზმის» განხორციელების ცდა, ჩვენს ქვეყანაში, სამარცხვინოთ უკან წაიღეს.

ჩვენმა პარტიამ ენერგიული ზომების მიღებით ბევრ ადგილას შეაჩერა მოთმინებიდან გამოსული ხალხის სტიქიური გამოსვლები ოკუპანტების წინააღმდეგ და მით ნაწილობრივ მაინც ავიცდინეთ მოსახლეობის ჟლეტა და აწიოკება ჩეკისტთა ხროვის მიერ. სამწუხაროდ ასეთი გამოსვლა ვერ იქნა შეჩერებული ბორჩალოს მაზრაში. სადაც დღესაც იღვრება უმიზნოთ აჯანყებულ მებრძოლთა უმანკო სისხლი. ცხადია მტერი იქ ამ მოძრაობას ჩააქრობს, როგორც ეს ამას წინეთ აჭარაში მოხდა და მოსახლეობასააწიოკებს და გაანადგურებს.

ხელისუფლების ამ მარცხის შემდეგ ქართველი ერი დგას ახალი ვერაგობის წინაშე მის მიმართ და საჭიროა აქ ჩვენმა პარტიამ, როგორც ერის მეთაურმა გამოიჩინოს მაქსიმალური ენერგია და წინდახედულობა, რათა ხალხი აცდენილ იქნას მორიგ უმიზნო სეპარატიულ და ანარქიულ გამოსვლებისაგან. მართალია კოლექტივიზაციის გეგმა მთლიანათ ჩაიშალა, მაგრამ მოსახლეობა სრულიათ გალატაკდა და სასოფლო მეურნეობა სავსებით დაეცა. ხალხის გასატყავებლათ მთავრობამ ახალ ზომას მიმართა და მას დაადო გადასახადთა არ გაგონილი ბეგარა. ისედაც დაცემული გლეხის მეურნეობა დღეს იძულებულია უკანასკნელი საარსებო საშვალება გაიღოს, გადასახადის სახით, და მით საბჭოთა ბიუროკრატია და წითელი ჯარი არჩინოს, თითონ კი შიშილით და სიშიშვლით სული დალიოს. მუშა მოსამსახურე ხომ უკიდურეს გაჭირვებას განიცდის საშინელი ექსპლოატაციით და ჯამაგირის შემცირებით. ამას ზედ ერთვის ათასგვარი ანარიცხების გამოკლება და სესხების ობლიგაციების იძულებითი შეძენა. ბაზარი სავსებით ცარიელია; მოსახლეობა შიმშილის და სიტიტვლის აჩრდილის წინაშე დგას. ხალხის უკმაყოფილება უკიდურეს საფეხურს აღწევს. ამას ზედ ერთვის თვით უკმაყოფილო კომუნისტების მიერ ხალხის წაქეზება ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც უკვე დაადვეს გადასახადი და მის გაყვლეფასაც შეუდგენ.

ასეთ პირობებში ბუნებრივათ შესაძლებელია დაიწყოს სტიქიური გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ და მით გაჩაღდეს ხალხის ხოცვა და ჟლეტა. ამ დროს ჩვენი პარტიის და მისი მებრძოლი ორგანიზაციების მოვალეობაა—ფხიზლათ იდგეს ქართველი ერის სადარაჯოზე და ენერგიული ზომების მიღებით გადაარჩინოს მოსახლეობა ამ მორიგი დარბევისაგან. შევინახოთ მებრძოლთა ძალები ბოლშევიზმის დაცემის მოახლოვებულ ჟამისათვის. რომელსაც დღითი დღე უახლოვდებით და რასაც ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

მოახლოვებული საბჭოთა რეჟიმის კატასტროფის აუცილებლობა სათანადოთ გაშუქებულია ჩვენი კონფერენციის დადგენილებებში და მის განმეორებას აქ არ შეუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ მთელი ჩვენი ყურადღება დღეს აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი. უნდა შევეცადოთ მთელი სასიცოცხლო ძალების შეკავშირებას და დარაზმვას ჩვენი დროშის ქვეშ. აი აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ, ჩვენს მებრძოლ ორგანიზაციებს და პარტიის ყველა წევრებს.

კიდევ ერთი გასაჭირის გადატანა; კიდევ ერთჯერ ყველა ძალების მობილიზაცია ოკუპანტების წინააღმდეგ. ფხიზლათ და მამაცურათ დგომა ჩვენს ღირსეულ პოზიციებზე და ჩვენი გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება!

ჩვენი პარტიის და ქართველი ერის გამარჯვება მოახლოვებულია, მტარვალთა ბანაკი კი დაძაბუნებული. მაშ, მტკიცეთ და ერთსულოვნათ, ძვირფასო ამხანაგებო, მომავალი გარდატეხისაკენ;

მწყობრათ უეჭველი გამარჯვებისაკენ!

ძირს ოკუპაცია!

ძირს ბოლშევიძური ტირანია!

გაუმარჯოს მებრძოლ ქართველ ერს და მის
ხელმძღვანელ სოც.-დემ. პარტიას და მის
ღირსეულ ბელადებს.

ივლისი 1930 წ.

◆

კოლექტივიზაცია საქართველოში

(წერილი საქართველოდან)

ქართველი ერის დარბევა საოკუპაციო რეჟიმის მიერ, მისი დოვლათის განიავება და კულტურის გაჩანაგება შეუწყვეტლივ გრძელდება, იცვლება მხოლოთ ბრძოლის მეთოდი და საშვალებანი. საბჭოთა ტირანია ძრწის დამონებული ხალხის აქტივობის წინაშე. დღეს მისი მთავარი საზრუნავია მხოლოთ განწირული სიცოცხლის ცოტათი გახანგრძლივება და დროებით სულის მობრუნება. დეე, განადგურდეს საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასი, შიმშილით ამოწყდეს მთელი მოსახლეობა, მხოლოთ საბჭოთა ქურუმებმა ცოტა ხანს კიდევ იბოგინონ და ხალხის სისხლში დათვრენ. აი მათი საამდროვო პრობლემა და ამას მტკიცედაც ატარებენ.

რით შეიძლებოდა ამ პრობლემის უკეთ გადაჭრა? აქ პასუხი საბჭოთა მესვეურთათვის მხოლოთ ერთი იყო და ისინი სწორეთ მის გატარებას შეუდგენ; უკმაყოფილო მოსახლეობის აქტივობის ჩაკვლა და მათი წინააღმდეგობის უნარის მოსპობა. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა კომუნსიტებმა ხალხის სრული ეკონომიური დამონებით დაიწყეს და მით ლამობენ თავისი ბოროტი განზრახვის განხორციელებას.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარების ცდა მხოლოთ ამ მიზნით იყო გამოწვეული. კომუნისტებმა დიდი ხანია ხელი აიღეს და ჯვარი დაუსვეს «რუსული სოციალიზმის» დამყარების ექსპერიმენტებს და მასზე არც კი ოცნებობენ. მათთვის დღეს მთავარია არა იდეია და მისთვის ბრძოლა, არამედ ტყავის შენარჩუნება და ხალხის კიდევ უფრო მეტათ დამონება. კოლექტივიზაციის დაწყებით კომუნისტურმა სატრაპებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს მიზანს და სასოფლო მეურნეობა—ეს უმთავრესი წყარო საბჭოთა მოსახლეობის საარსებოთ—მართლაც დასცეს და გაანადგურეს.

საქართველოს კომპარტია ორი წელი ემზადა, სანამ კოლექტივიზაციის გატარებას პრაქტიკულათ შეუდგებოდა. ჯერ იყო და ათასი კომსომოლა გაგზავნეს «სოციალისტურ» მექქას, მოსკოვს რუსული სოციალიზმის შესასწავლათ და მის საქართველოში გადმოსანერგათ. მილიონები დაიხარჯა გამოთაყვანებულ კომსომოლების ხალხის დასარბევათ მომზადებისთვის. ათასი «განსწავლული» კომუნარი ორი წლის ლაყბობის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და გასული წლის შემოდგომიდან ეს ველური «სოციალიზმის» მერცხლები შეუდგენ ქართული სოფლების დარბევას.

ამ რიგათ ხსენებული კამპანია საქართველოში დაიწყო გასულ წელს შემოდგომის თესვის პერიოდიდან. ამ დროს ხალხის შთაგონებით და პროპაგანდით სურდათ კომუნისტებს გლეხების კოლექტივებში ჩათრევა, მაგრამ ამაოთ, გარდა კომუნისტებისა კოლექტივში არავინ მიდიოდა დირექტივა შეუსრულებელი რჩებოდა. ამაში ბრალი მაშინდელმა საქართველოს სვებედის გამგემ დეგენერატმა მიხა კახიანმა კულაკებს დასდო და გასცა განკარგულება მათი აყრის და გადასახლების შესახებ. «კულაკი როგორც კლასი ფიზიკურათ უნდა მოისპოსო». ასეთი იყო ბრძანება «შახის» და ის ცხადია ცხოვრებაშიც ტარდებოდა. ბატონ კახიანს სხვა მხრივადაც უნდოდა ამ დროს თავის გამოჩენა თავის მოსკოვის ბატონების წინაშე და ის ამიტომ ენერგიულათ შეუდგა საქართველოში სრული კოლექტივიზაციის გატარებას. ამისი მიზეზი იყო იმ დროს კავკასიის საოლქო კომიტეტში არსებული არევდარევა, სომეხ და თათარ კომუნისტებს შორის. კახიანი კარგათ ხედავდა, რომ მოსკოვი მათ წინააღმდეგ ზომებს მიიღებდა და იქ ვისმე ახალს მაგარ ხელს და თავის მონამორჩილს გაგზავნიდა; და თუ ის ამ დროს რამეთი თავს გამოიჩენდა სხვა მის წარსულ სისხლიან «მოღვაწეობასთან» ერთად საქართველოში, შეიძლება მისთვის ბედს გაეღიმა და ის საქართველოს კომპარტიის მთავარი მდივნის სავარძელიდან კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნის ადგილას გადაბარგებულიყო. ასე იფიქრა კახიანმა და გასცა განკარგულება მთელ საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო მეურნეობის ყველა დარგში კოლექტივიზაციის გატარების შესახებ. მიმდინარე წლის დასაწყისიდან, დაგზავნა სათანადო დირექტივები და თეზისები. ამით გაჩაღდა ჩვენში საკოლექტივიზაციო კამპანია, რომელმაც ჩვენი სასოფლო მეურნეობა ერთიანათ დასცა და გაანადგურა.

კოლექტივიზაციას კომსომოლთა სპეციალური ბრიგადები ატარებდნენ. მათთვის თბილისში მოწყობილი იყო განსაკუთრებული კურსები, სადაც მოსკოვში განსწავლული კომსომოლები ამზადებდნენ ახალ კადრებს «კომუნისტური» აღმშენებლობისთვის. იქ სადაც კულტურულ მცენარეთა მეურნეობა იყო, მობილიზაცია გაუკეთეს ყველა აგრონომიული დარგის სტუდენტებს დაწყებული პირველი კურსიდან. სულ მთელ საქართველოზე გამოყოფილი იყო ცენტრიდან ხუთი ათასი კაცი და დანაწილებული ბრიგადებათ. მათ ადგილობრივ ემატებოდა კომსომოლთა და კომუნისტთა დელეგატები და ამათგან დგებოდა ადგილობრივი რაიონული კომისიები. მათი მოვალეობა იყო მთელ რაიონში კოლექტივიზაციის ჩატარება და მისი ხელმძღვანელობა. დირექტივების თანახმათ კოლექტივებში უნდა გაერთიანებულიყო ყველა გლეხის მეურნეობა, მხოლოთ მასში, როგორც მონაწილე შევიდოდა ბოლშევიკების თქმით ღარიბი და საშვალო შეძლების გლეხი. შეძლებული გლეხები ე. ი. «კულაკები» თავის ცოლშვილიანა უნდა გადასახლებულიყო ხსენებულიმაზრიდან. მათ უფლება ქონდათ მხოლოთ ტანისამოსის წაღების. დანარჩენი ქონება გადადიოდა კოლექტივის განკარგულებაში. «კულაკს» არ შეეძლო არც სამსახურში შესვლა, არც თავისი ქონებიდან თუგინდ უმნიშვნელო რამის წაღება, ლოგინი და მოწყობილობაც კი კოლექტივების განკარგულებაში გადადიოდა. კომისია ე. ი. ბრიგადები, დაადგენს ადგილობრივი კომუნისტების ჩვენებით, რომ ესა და ეს პირი კულაკია, თუ გინდ ის სხვაზე ღარიბი იყოს და ის მაზრიდან იდევნება. მის სახლკარს ბეჭდავენ და კოლექტივს აბარებენ. აუარებელი გლეხის ოჯახი ჯერ კიდევ სუსხიან ზამთარში ცის ქვეშ დარჩა უბინაოთ და ულუკმაპუროთ მაშინ, როდესაც «სოციალიზმის» ქურუმები, ბრიგადირები მათი ავლადიდების ხარჯზე ქეიფობდნენ და დავლურს გადადიოდენ. ასე გაჩაღდა საქართველოში «უდიდესი სოციალისტური აღმშენებლობა». კახიანის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. მოსკოვის დირექტივა სრული კოლექტივიზაციის შესახებ ცხოვრებაში ტარდებოდა.

ბრიგადირები შეესიენ ხალხის ქონებას, გაჩაღდა ქეიფი, ცეკვა-თამაში სხვის ნაოფლარზე და უდარდელი ცხოვრება. მათ აყვა ადგილობრივი კომუნისტები და კომსომოლები. მუშაობაზე არავინ ფიქრობდა. ყველამ ლხინს და გართობას მისცა თავი. ოხრათ იყო ღვინო, პური, ინდაური, ქათმები და სხვა საჭმელები. ქეიფი და ლხინი აბა ვის მოსჭარბდებოდა და ისიც სხვის ხარჯზე. ქეიფს არშიყობა და სხვა რამეები მოსდევდა და ასე ნელნელა საქართველოში რუსული კომუნიზმი მყარდებოდა. გლეხობა ხედავდა, რომ მისი სარჩო-საბადებელი ბრიგადირების მიერ ნადგურდებოდა. ნაწილობრივ თვითონაც მიჰყვეს ხელი შინაური პირუტყვის გაწყვეტას და ხელგაშლილ ცხოვრებას. ამრიგათ ერთი თვის განცხრომით ცხოვრების შემდეგ უკვე ყველაფერი გამოილია. ხალხის მოთმინების ფიალაც აივსო. მთელი საქართველო მღელვარების ტალღამ მოიცვა. კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა გაჩაღდა და ბრიგადირებს ცხვირპირ დამტვრეულთ სოფლებიდან ჯოხებით ერეკებოდენ. აქ აღსანიშნავი ის არის, რომ მოძრაობაში უმთავრეს როლს სწორეთ ის ღარიბი და საშვალო გლეხები თამაშობდნენ, რომლის იმედიც ქონდათ კომუნისტებს. საქართველოს კომპარტია დაფრთხა. კახიანმაც ზომები მიიღო, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მოსახლეობა მთლიანათ უკვე მოძრაობაში იყო ჩაბმული და საქმის გამოსწორება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამ ამბებს რუსეთის დღევანდელ თვითმპყრობელ სტალინის წერილმაც მოუსწრო, მაგრამ მით არაფერი შეცვლილა. საქართველოს გლეხობამ კომუნისტების ვერაგობას ერთსულოვნათ შეუტია და მათი ამდენი ხნის ნაცოდვილარი სულ ნაცარტუტათ აქცია და «რუსული სოციალიზმის» გატარების ცდა საქართველოში კომპარტიას სამარცხვინოთ უკან წაადებინა.

მოძრაობამ ყველაზე მწვავე ხასიათი კახეთში მიიღო. აქ მოხდა ნამდვილი აჯანყება კომუნისტების წინააღმდეგ. კახეთს, როგორც მევენახეობის და მესაქონლეობის მხარეს, საბჭოთა ქურუმებმა ყველაზე დიდი ყურადღება მიაქციეს და კოლექტივიზაციის გატარებაში აქ მეტ სიმტკიცეს იჩენდნენ. დამკვრელი ბრიგადები კახური ღვინით შეზარხოშებულნი მოსახლეობას აწიოკებდენ და თავისი სახლკარიდან ერეკებოდენ. კახეთიდან ამ დროს გააძევეს 2.000-მდე გლეხი. ხალხი მათ წინააღმდეგ ამხედრდა და ბრძოლა გაჩაღდა. აჯანყების დროშა თელავის მაზრაში სოფელ მატაანმა ააფრიალა და ბრიგადირები და კომუნისტები ცხვირპირ დამტვრეულნი სოფლიდან გარეკა. მას აყვა ახმეტა, შემდეგ ზედა და ქვედა ალვანი (თუშების სოფლებია), ქისტაური და სხვები. მოძრაობაში ყველაზე აქტივობას ქალები იჩენდნენ. ხელისუფლება დაფრთხა და თბილისიდან წითელარმიელთა ნაწილები გაგზავნა. ამხედრებულებს მათთან რამოდენიმე შეტაკება ქონდა, ორიათას კაცამდე ტყეში გაიხიზნა და ოკუპანტების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა. ბრიგადირებიდან კახეთი უკვე დაცლილი იყო და კოლექტივები უკვე გაუქმებული, როცა ცენტრიდან შეჩერების ბრძანება მოვიდა. ხელისუფლებამ ბოდიშის მოხდა დაიწყო და ხალხს დამშვიდებისაკენ მოუწოდებდა. ტყეში გასული ხალხი ნაწილი მთაში გაიხიზნა და ნაწილი ზაქათალას ოლქში გადავიდა. იქ აზერბეიჯანის პარტიზანულ ჯგუფებს შეუერთდა და ბრძოლას აგრძელებდა. ამ რაზმებმა დაიკავეს ზაქათალა და ნუხა. ეს ქალაქები ორი კვირის განმავლობაში აჯანყებულების ხელში იყო. მოძრაობის დროს კახეთში შეიპყრეს და გადაასახლეს 1.000 კაცამდე. ასეთსავე ამბებს ქონდა ადგილი სიღნაღის მაზრაშიც განსაკუთრებით ქიზიყში სოფ. ნუკრიანში, მაშნაარში, ჯუგაანში და სხვაგან. შირაქში, გარეკახეთში და სხვაგან ამბოხებულებმა დასწვეს რამდენიმე საბჭოთა და კოლმეურნეობათა ქონება. კოლექტივიზაციის კამპანიამ კახეთში ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა მევენახეობას და მეცხვარეობას. ვენახი სავსებით დაუმუშავებელი დარჩა და მისი ინვენტარი მთლათ განიავებული. ამიტომ ეს მეურნეობა თითქმის სრულიათ განადგურდა და ვენახი ნახევარზე მეტი ახმა. დღეს საქართველოს უკვე საყოფი ღვინოც აღარ აქვს. ცხვარი თავის პატრონებს ჩამოართვეს და მათი მოვლა სრულიათ უვიც ხალხს ჩააბარეს. ბატკნობის დროს თითქმის ორ წილზე მეტი გაწყდა მოუვლელობით და თუშური ცხვარის მეურნეობაც საფრთხეში ჩავარდა. კოლექტივიზაციის გაუქმების შემდეგ ზოგ მეურნეს დაუბრუნეს თავისი ცხვარი მაგრამ 2.000 სულიდან ხუთასიც არ იყო საღი და კარგათ მოვლილი. «კომუნის მეცხვარეები» ფარეხში რომ ცხვარი ვერ ეტეოდა, ჭერიდან ყრიდენ ზედმეტ ცხვარს და ასე უვლიდენ ეს «ახალი ქვეყნის მოციქულები» «სოციალისტურ მეურნეობას». კახეთში აჯანყებულებმა მოჰკლეს 150-მდე კომუნისტი და არმიელი.

ქართლში კოლექტივიზაციის საწინააღმდეგო მოძრაობა უფრო სხვა ხასიათისა იყო. აქ გლეხობა ეწეოდა აშკარა საბოტაჟს მის მიმართ და პასიურ წინააღმდეგობას. მას თითქმის არაფერი არ შექონდა კოლმეურნეობაში. შიგ შედიოდა წევრათ იძულებით, მაგრამ არაფერს აკეთებდა. იყო შემთხვევები მეურნეობათა ხშირი დაწვის და მანქანა-ინვენტარების გაფუჭების. აქ ადგილი ქონდა ხშირ ტერორისტულ აქტებს კომუნისტებისა და დამკვრელი ბრიგადების მიმართ. ქართლში კომუნისტებიც ხალხს აქეზებდენ კოლმეურნეობათა საწინააღმდეგოთ. ქართლში მოჰკლეს 28 კომუნისტი. ქართლიდან გააძევეს და გადაასახლეს 1000-მდე გლეხი.

ახალციხის მაზრაში იყო მასიური გამოსვლები საკოლმეურნეო კამპანიის წინააღმდეგ. რამდენიმე სოფელში განაიარაღეს მილიცია და გეპეუს ნაწილები და განდევნეს ინსტრუქტორები. მოძრაობამ იმდენათ ფართე ხასიათი მიიღო, რომ მის ჩასაქრობათ გაიყვანეს წითელი არმიელები და ეკზეკუციები ჩააყენეს 15-მდე სოფელში. ხუთასამდე კაცი გადაასახლეს მაზრიდან. ამდენივე მუსულმანი და ქართველი გლეხი იძულებული იყო გადასულიყო ოსმალეთში და იქ შეეფარებინა თავი. ერთ სოფელში პარტიზანებმა განაიარაღეს 50-მდე ჯარისკაცი, წაართვეს ერთი ტყვიისმფრქვეველი და ამ იარაღითვე გადავიდენ ოსმალეთის საზღვარზე. ახალციხის მაზრიდან ბრიგადირებმა აჰყარეს და გადაასახლეს 800 კომლი გლეხი. დახოცილთა რიცხვი აქ აღწევდა კომუნისტების მხრით 60 კაცს.

საკოლმეურნეო საწინააღმდეგო მოძრაობამ ყველაზე უფრო ფართე და მასიური ხასიათი ბორჩალოს მაზრაში და ყარაიას რაიონში მიიღო. აქ მოხდა ნამდვილი ხალხური აჯანყება საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ და ბრძოლას ქონდა ნამდვილი ომის ხასიათი. მთელს ბორჩალოსა, ლორში და ყარაიაში აჯანყებამ იფეთქა ერთსა და იმავე დროს და ის დღესაც არ არის ჩაქრობილი. აქ ყველა რაიონს თავისი განსაკუთრებული ხელმძღვანელი ყავდა და ვისაც იარაღის ტარება კი შეეძლო ყველა მონაწილეობდა აჯანყებაში; მხოლოთ საკმაოთ შეიარაღებული და მოძრაობის მუდმივი მონაწილე იყო ოთხიათასი კაცი ბორჩალოსა და ლორში; ყარაიში კი 1000 კაცი. მოძრაობის მეთაურები იყვნენ ბაირამ ალი კასანოვ (ეს პირი მოჰკლეს ერთი ბრძოლის დროს) და იმამ ტახმაზ კულიოღლი კასანოვ სოფ. ფახრალოდან, კარალა ოღლი სულეიმან სოფ. კაჩაგადან. მეხმეთ ალატობჩიც სოფ. ახშგი. მაშადი კასიმალი აშაგა სერალი, გასიმახმეტ სოფ. ლეჟბადინო და სხვები. აჯანყებულებმა სულ ორისამი დღის განმავლობაში გასწმინდეს ბორჩალოს მაზრა კომუნისტებისაგან და მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი გახდნენ. მათ საწინააღმდეგოთ გაგზავნილი იყო ორი რუსის ქვეითა პოლკი და აგრეთვე კავალერისა და არტილერიის ნაწილები. ბრძოლას ნამდვილი პოზიციური ხასიათი ქონდა და ის მარტიდან მოკიდებული გაგრძელდა ივნისის დამლევამდე. ყველაზე დიდი ბრძოლა მოხდა ჩათახის თუჯის ქარხნის მახლობლათ დაბა «კიზილ კაი»-ასთან. აქ ერთ რაზმს, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმამ კული ოღლი კასანოვი, შემოარტყეს ალყა 3000 წითელარმიელმა. ბრძოლა გრძელდებოდა 18 დღის განმავლობაში და მოჰკლეს არმიელების მხრით 600 კაცამდე. შემდეგ აჯანყებულებს მოუსწრო დამხმარე რაზმებმა, მათ გაარღვიეს რკალი და გავიდნენ სამშვიდობოზე. აჯანყების დროს ბორჩალოში მოჰკლეს 12 ცნობილი ჩეკისტი, მათში იყო ბატონი შარიფოვი, რომელიც შიშის ზარს ცემდა მუსულმანურ მოსახლეობას. მოკლულია აგრეთვე 32 წითელი კამანდირი და 1200 წითელარმიელი. აჯანყებულების მხრით მოჰკლეს მხოლოთ 6 კაცი და მათში ერთი მეთაური ბაირამალი კასანოვი. კომუნისტები უძლური გამოდგნენ, რომ ბორჩალოს აჯანყება ჩაექროთ და მოსალოდნელი იყო მას მოყოლოდა დიდი მსხვერპლი, ამიტომ მასში ჩაერია საქართველოს სოც.დემოკრატია, ვინაიდან ის არ სცნობდა მიზანშეწონილათ აჯანყების გაგრძელებას მარტო ბორჩალოში და საქმეც მოაგვარა. სოციალდემოკრატიის მოთხოვნით ყველა მეთაურები 500 კაცამდე ოსმალეთში გადავიდენ. ყარაიაში აჯანყებულებმა მოჰკლეს 200 წითელი არმიელი და კომუნისტი. აქ იყო გაგზავნილი სპეციალური დელეგაცია მტარვალ ბერიასა და შაბანოვის მეთაურობით. აჯანყებულებმა ეს ვაჟბატონები მიიღეს გარეჯის მონასტერში, გამოლანძღეს, პირში მიაფურთხეს და უკან შეურაცხყოფილი გამოისტუმრეს. აქ სტუმრათ ხართ მოსული, ჩვენი პურმარილი მიგიღიათ და არ მოგკლავთ, შეგიძლიათ წაეთრიოთ და ანგარიშს ერთად მოგთხოვთ ყველა მტარვალებს, უპასუხეს აჯანყებულებმა. სოც. დემოკრატიის მიერ ზომების მიღების შემდეგ ამ რაიონების აჯანყებულები პატარ-პატარა რაზმებათ დაიყვენ და ისე აწარმოებდენ ბრძოლას. ნაწილი კი ოსმალეთში გადავიდა. ხელისუფლება იმდენათ დააფრთხო ბორჩალო-ყარაიაზის აჯანყებამ, რომ იქ რეპრესიები შეანელა და შურისძიება ვერ გაბედა. ასეთი დიდი გამოსვლების შემდეგ ხალხი შედარებით დაუზიანებელი გადარჩა. ეს ცხადია ხელისუფლების საერთო შერყეულ მდგომარეობასაც მიეწერება.

კოლმეურნეობათა საწინააღმდეგო მოძრაობას დასავლეთ საქართველოშიც ფართე ხასიათი ქონდა. აქ ყველაზე შესანიშნავი სამეგრელოს ამბები იყო. სამეგრელოში მოძრაობაში მხოლოთ ქალები იღებდა მონაწილეობას. ისინი გადადიოდნენ ერთი სოფლიდან მეორეში და ანადგურებდნენ კოლმეურნეობათა ქონებას, წვავდნენ-ამტვრევდნენ ინვენტარს და ცემა ტყეპით ისტუმრებდნენ კომუნისტებს და ბრიგადირებს. ყველაზე აქტივობას კომუნისტი და ღარიბი ქალები იჩენდნენ. სამეგრელოში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, სადაც ქალების გამოსვლას არ ქონოდეს ადგილი (აქედან მოძრაობა სამურზაყანოსაც მოედვა). საერთოთ მოძრაობამ იმდენათ სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მის ჩასაქრობათ საკმარისი არ იყო ადგილობრივი ძალები და გამოიწვიეს წითელი ჯარის ნაწილები. ქალები ჯოხებით და ქვებით ებრძოდენ წითელარმიელებს. ერთი შეტაკების დროს მოჰკლეს ოთხი ქალი. ქალებმა კი ცემით მოჰკლეს 24 კაცი და ბევრიც სასიკვდილოთ დააშავეს და ბევრიც დაასახიჩრეს. ამით იყო გამოწვეული, რომ კომპარტიის ყრილობაზე ორატორები ღარიბ ქალებში მუშაობაზე ლაყბობდნენ.

დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ადგილებშიც თითქმის ყველგან ქონდა ადგილი გამოსვლებს. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ქონდა გამოსვლებს შორაპნის მაზრაში, რაჭაში, ლეჩხუმში, სოხუმის ოლქში და აჭარაში. იყო შემთხვევები ბრიგადირების ცემით მოკვლის და დასახიჩრების აღსანიშნავი ის არის, რომ მოძრაობაში ყველგან ნაკლებ აქტივობას სწორეთ გაძევებული ხალხი იჩენდა ე. ი. «კულაკები». დასავლეთ საქართველოში კომუნისტები აშკარათ გამოდიოდნენ კრებებზე კოლექტივების წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე ბევრი კომუნისტი იყო შეპყრობილი და გაძევებული მაზრიდან და ღირსებაახდილი ე. ი. პარტიიდან გარიცხული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ამბებმა დიდი გავლენა იქონიეს, როგორც ადგილობრივ ისე მოსკოვში მოკალათებულ დიქტატორებზე. დაჟინებით ამბობენ, რომ სტალინის გადაბრუნებაც ამ საკითხში ამით იყო გამოწვეული და შემდეგ წითელარმიელთა მღელვარებით. საქართველოში კოლმეურნეობათა წინააღმდეგ ამხედრდა არა მარტო გლეხობა, არამედ მას მხარს უჭერდა საქართველოს მუშათა კლასი. მუშათა სტიქიურ კრებებზე გამოქონდათ დადგენილებანი მის გატარების წინააღმდეგ და გმობდნენ ხელისუფლების ნაბიჯებს. როცა მღელვარებამ კომუნისტები დააფრთხო და თავისი «რუსული სოციალიზმის» გატარების ცდა საქართველოში და კავკასიაში უკან წაღებას შეუდგენ, დანაშაულის ერთმანეთზე გადაბრალებას და ბოდიშის მოხდას. ამბობდნენ, რომ ადგილობრივმა კომ. ორგანოებმა კარგათ ვერ გაიგეს პარტიის დირექტივა და ამან გამოიწვია შეცდომებიო. დაიწყო ფილიპე მახარაძის და სხვა მისი დამქაშების საქართველოს სოფლებში ხეტიალი და ბოდიშის მოხდა. ბრალი საქართველოს დიქტატორს დეგენერატ კახიანსაც დასდვეს და ის ამიერ კავკასიის კომპარტიის მდივნათ დანიშვნის მაგიერ, თურქესტანში მიაბრძანეს ცოდვების მოსანანიებლათ და იქ უმნიშვნელო ადგილზე გააწესეს. მოხსნეს აგრეთვე ბევრი სამაზრო კომპარტიის მდივნები და მათ ადგილას კიდევ უფრო უვიცი ახალგაზდები დანიშნეს, ხოლო საქართველოს სვებედი კახიანის მაგიერ გამოთაყვანებულ ლევან ლოლობერიძეს ჩააბარეს. კოლმეურნეობის კამპანიამ გლეხობა კიდევ უფრო გაალატაკა, სასოფლო მეურნეობა გააჩანაგა და სავსებით დასცა. დევნილი გლეხების ნაწილიც ასეთი მარცხის შემდეგ თავის მიწაწყალს დაუბრუნეს, მაგრამ მისი სარჩოსაბადებელი სრულიათ განიავებული დაუხვდა. მოსახლეობა კიდევ უფრო გალატაკდა და დაბეჩავდა. მას შიმშილი მოელის.

ჰომერი.

5 ივლისი 1930 წ.

ორი კვირა თფილისში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ნავთლუღიდან ავლაბრამდე ეტლმა თითო სულზე 3 მანეთი გვთხოვა. ეს ძვირი გვეჩვენა და ტრამვაისაკენ გავეშურეთ. რონოდაში ასვლისათანავე კონდუქტორი გვეკითხება: «ხურდა ფული თუ გაქვთო». ჩვენ ვაძლევთ ქაღალდის მანეთიანს. რონოდა გააჩერეს და გვიბრძანეს ჩამოსვლა. ჩემს მეგობარს საბედნიეროთ აღმოაჩნდა აბაზიანი ვერცხლის ფული და ამ გარემოებამ გვიხსნა. ჩავედით ავლაბარში. კვირა დღეა. ავლაბარში არც ერთი სარდაფი ღია არ დაგვხვდა; დუქნები და მაღაზიები დახურულია. მხოლოდ «მუშკოპი» ვაჭრობს, რომლის წინ ქალების, ბავშების და მოხუცებულების გრძელი კუდია. შევედით «მუშკოპში»: ცარიელი თაროები, ვიტრინაზე მხოლოდ ფინჯნები, თეფშები, ჰიქები და ხილი აწყვია. გვეგონა, რომ ვაჭრობის ასეთი შეწყვეტა კვირის ბრალი იყო. ეს შეცდომა გამოდგა. გამოირკვა, რომ კვირა დღეს «ნეპრერივკი-»ს შემოღების გამო მეტი მუშაობაა.

კახეთის მოედანიდან თავისუფლების მოედნამდე ეტლმა გვთხოვა 10 მანეთი (ყველა ეტლი «მსუბუქ» ტრანსპორტის არტელს» ეკუთვნის). სულ მოედანზე 2-3 ეტლია. რომ არ დავთანხმდეთ, აგერ სხვა მოდის და ის დაიკავებს. ამიტომ დაუყონებლივ ჩავსხედით. დიდი გაჭივრებით «რაშებმა» მიგვიყვანეს პუშკანის ბაღამდე.

აქ განუწყვეტელი კუდები მოსჩანს. აუარებელი ხალხია, მათში ბევრია პირადი ნაცნობი. მაგრამ რიგში დგომით ხალხი ისე დარეტიანებულია, რომ ვერავინ მიცნო. რამდენიმე საათს იცდიან, რომ გირვანქა პამიდორი ან ბადრიჟანი იყიდონ. გავიარე პასაჟი. აქ რამდენიმე ათეული მეტრი კუდია ერთი ჰიქა რძის მისაღებათ. ხალხის ისეთი ხმაურობაა, რომ არ შეგიძლია იქვე მდგომი პირის ლაპარაკი გაიგო. ხდება წიგნაკების წარდგენა, ჩეკის გამოწერა, წიგნაკში აღნიშვნა, მისი რამდენიმე ინსტანციაში გატარება, ხელის მოწერა და ბეჭდის დასმა. ყველაფერი ეს ხდება ერთი ჰიქა რძის მისაღებათ.

შევედით «სალდათის ბაზარში» კოლექტიურ სასადილოში. ის კომსომოლს ეკუთვნის, მოსამსახურეებიც კომსომოლის წევრი ქალვაჟებია. ასე გვეგონა, საროსკიპოში ვიყავით: თორმეტი მოსამსახურე ქალი და ვაჟი სულ ტიტვლები იყვენ, გარდა სამარცხვინო ადგილისა. დახლში და სამზარეულოში რაც საქონელი იყო ძველი დროის შეფასებით 2-3 მანეთი ღირდა სულ. ვეკითხები ხელზე მოსამსახურე ქალს, «რა გაქვს ამხანაგო». მისი პასუხი იყო: «ყველაფერი, ამხანაგო: აჯაფ-სანდალი, კარტოფილის სუფი, ღვინო, სალათი.» ვეკითხები: «გაქვს თუ არა ხორცი?» მოსამსახურე-ქალმა ისეთი განცვიფრებით შემოგვხედა, რომ აშკარა იყო, თუ რა დიდი შეცდომა ჩავიდინეთ. სხვა გზა არ იყო—ღიმილით მიუგე: «არა, ამხანაგო, გეხუმრებით. ხორცი რომ წამლათაც არ იშოვება, კარგათ ვიცი, ოღონდ თქვენთან, მშვენიერ არსებასთან მინდოდა ლაპარაკი». მოგვიტანეს აჯაფ-სანდალი ბადრიჯნით და პამიდორით, ერთი კვარტი ღვინო და ნახშირივით შავი პური. ამ სადილში გადავიხადეთ ორმა 12 მანეთი.

ორი კვირის განმავლობაში თფილისი ყოველმხრივ დავათვალიერეთ და აი ჩვენი საბოლოო შთაბეჭდილება.

ვაკედან რომ თბილისს გადახედავთ, იფიქრებთ, რომ ქალაქი უპატრონოთაა მიტოვებული. სახლებს საღებავი მოცილებია, სახურავი ჟანგით შეჭმულია. აქა-იქ არის ახალი ნაშენი, რომელთა შორის ორი სახლია ლამაზი და კაპიტალური: გაზეთ «ზარია ვოსტოკას» შენობა რუსთაველის პროსპ. და ოლღას ქ. დასაწყისში და მეორე—სასახლის ეზოში, გარეშე საქმეთა სამინისტროს ყოფილ შენობის წინ ამიერკავკასიის მთავრობისათვის. ნაძალადევში აშენებულია 2-3 საცხოვრებელი სახლი, უშნო და უხეირხული, რომლის გამძლეობა 20 წლით არის გათვალისწინებული. შეიძლება მან ივარგოს 3-4 წელი, შემდეგ კი მოსალოდნელია მისი ბუნებრივი დანგრევა. აგრეთვე ტრამვაიელებს აუშენეს ვეებერთელა სახლები, მაგრამ ოთახები ბეღურის გალიას მოგაგონებს და ძალიან ბნელია. საერთოდ ახალ სახლებიდან მაგარი წვიმის ან ქარის დროს აგური და ქვა კედლიდან ცვივა, ხშირად ბალკონი და სახურავიც ირღვევა.

ფაბრიკა-ქარხნები უხეიროთ მუშაობენ. მეჩექმეთა სახელოსნოები, სადაც ძველათ 8-10 კაცი მუშაობდა, დღეს ფაბრიკათ ითვლება. ასეა ყველა დარგში.

ეკონომიური კატასტროფა ივლისში დაიწყო. სამი თვის განმავლობაში ფასები საშინლად გაიზარდა. რაც დრო გადის, მდგომარეობა უარესდება. 24 აგვისტოს თფილისში ერთი კვერცხი, რომელსაც მხოლოდ კერძო მოვაჭრესთან ქურდულათ იშოვნიდით, ღირდა 20 კაპ., ხოლო 6 სეკტემბერს ცალი კვერცხი 45 კ. ფასობდა იმავე პირობებში.

ხორცი კოოპერატივში არ იშოვნება, ხოლო კერძოთ, ფარულათ კილო 2 მან. ნახევარი ღირდა. ორი კვირის შემდეგ კი 5-6 მანეთი კილო.

24 აგისტოს ღვინოს (კვარტის ბოთლს) კოოპერატივის წიგნაკებით თვეში ერთხელ წევრებს 1 მან. 50 კაპ. აძლევენ, ხოლო 6 სეკტემბერს კოოპერატივში ღვინოს უკვე აღარ იძლეოდენ. ხოლო კერძოთ იშვიათად 8-9 მანეთად შეიძენდით.

ფართალი არც კოოპერატივში და არც კერძოთ სრულიად არ იშოვნება.

შაქარი აგვისტოში მუშა-მოსამსახურეებს არ მიუღიათ, ხოლო კერძოთ კილოს 5-6 მანეთად ყიდდენ. სექტემბერის დასაწყისში ფულათ შაქარს ბაზარზედაც ვერ იპოვიდით. გლეხი ერთ ქათამს სამ გირვანქა შაქარზე ცვლიდა.

ფეხსაცმელი და ტანთსაცმელი არც კოოპერატივებში და არც კერძო ვაჭრებთან კარგა ხანია არ იშოვნება. ფეხსაცმელის ძირის გამოსაცვლელათ მოსამსახურენი იძულებულნი არიან ორდერი აიღონ, ამ მიზნით რიგში ორი კვირა უნდა იცადონ, ხოლო შემდეგ არტელის მეჩექმეები 30-40 მანეთს იღებენ. ქალის ნახმარი ფეხსაცმელი, თუ ოდესმე ვინმე ბაზარზე ქურდულათ გაიტანს, იყიდება 200-25 0მანეთათ, ხოლო მამაკაცის (ნახმარი) შარვალი 200-300 მანეთათ. კილო კარაქი 24 აგვისტოს კერძო ბაზარზე (კოოპერატივში არ იშოვნება) ღირს 15 მანეთი, ორი კვირის შემდეგ კი 30-35 მანეთი. კილო ლობიო 1 მანეთი და 50 კაპეიკი, ორი კვირის შემდეგ—4 მ. 50 კ., კონა მწვანილი 25 კ., პური (შავი, სავსე ათასი ნარევით) კილო 80 კ., ორი კვირის შემდეგ კი 1 მ. 60 კ.

ჩერვონეცის მანეთი უდრის ძველ 2-3 კაპეიკს. საკვებ პროდუქტზე მანეთი უდრის 10-15 კაპეიკს საშვალოთ.

პაპიროსი გასაყიდათ არ იშოვნება. მუშამოსამსახურეებს სამსახურში ურიგებენ ერთ კოლოფ პაპიროსს სამი დღისთვის. ქურდულათ თუ გსურთ შეიძინოთ, უნდა გყავდეთ დახელოვნებული აგენტი და კოლოფს შეიძენთ 2-3 მანეთათ. საპონი სოფლათ სრულიად არ იშოვნება. საპონი აღარ მზადდება და მალე ქალაქშიც ის არ იქნება.

ერთ ღამეს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოლარეები ჩეკამ გაჩხრიკა და ვისაც აღმოაჩნდა ხურდა ფული—შავი და ვერცხლისა—12 მანეთზე მეტი, ყველანი დაატუსაღა, ხოლო ფულს კონფისკაცია მოუხდინა.

გლეხი ფულზე არაფერს ყიდის. ის დაშინებულია ჯერ ნიკოლოზის ფულის გაუქმებით, ხოლო შემდეგ ბონების ფასის დაცემით. ფიქრობენ. ჩერვონეცს უარესი მოელის. ამიტომ თუ სოფლათ მიიტან ძველ ფეხსაცმელს ან ტანსაცმელს, მოგცემენ კარაქს, კვერცხს და სხვა ნაწარმოებს, ფულს კი არ ღებულობენ.

ქალაქებში ფასი ყველა საქონელზე საშინლათ აწეულია. უბრალო ხის შკაფი, რომელიც 1929 წელს 30 მანეთი ფასობდა, ახლა 900-950 მანეთათ იყიდება; პირსაბანი, რომელიც მაშინ 25-30 მან. ღირდა, ახლა 800-900 მან. ფასობს.

შიმშილობა ახლა სოფელსაც მოედვა. პურის მომარაგების შემდეგ კომლ გლეხს, რომელიც 3-4 სულისაგან შედგება. დაუტოვებენ 8-10 ფუთ პურს. ერთი თუ ორი თვის შემდეგ გლეხი იძულებული იქნება თვით პურის შეძენაზე იფიქროს. სანამ ზაფხულია. ხალხი იოლათ გადადის, ხოლო ზამთარში რა მოხდება არავინ იცის: საშინელი შიმშილობა აუცილებელია.

თვით კომუნისტთა შორის დიდი უკმაყოფილებაა. დალხენილი არიან გეპეუს წევრები, ნარკომები, ტრესტებისა და სინდიკატების გამგეები და პარტკომების წევრები. კომუნისტურ პარტიის უბრალო წევრები კი ისეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც უპარტიო მუშა-მოსამსახურეები. ამის გამო მაღალ თანამდებობის კომუნისტთა და პარტიის უბრალო წევრთა შორის სასტიკი ანტაგონიზმია. დაბალი კომუნისტები ძველ მენშევიკ მუშებთან მიდიან, გულწრფელათ შესჩივიან თავის აუტანელ მდგომარეობას და ეკითხებიან: «გვეშველება რამე თუ არა, გადავარდება თუ არა ეს ტერორის მთავრობაო».

წელს ზაფხულზე ყველგან ჯარის მანევრები მოაწყვეს. რას ნიშნავს ეს ძნელი გასაგებია. აქ საყურადღებოა ჯარის სულისკვეთების გარკვევა. წითელარმიელები აშკარათ ამბობდენ, თუ ომი მოხდა, ჩვენ არ ვიბრძოლებთ, კომუნისტებმა იომონო.

გაცილებით უარესი ყოფილა მდგომარეობა რუსეთში. იქიდან როგორც კალიები საქართველოს მოეფინენ «ექსკურსანტები». ეს დამშეული ხალხი კავკასიაში მოსვლისთანავე თავისიანებს ატყობინებს: «მოვედით, გავძეხით («ნაჟრალის»), კავკასიაში სამოთხეა». რუსეთში ხალხს კაი ხანია დავიწყებული ჰქონია, რომ კვერცხი, კარაქი და ხორცი ადამიანის საკვები საგანია.

ქართული უნივერსიტეტი გაუქმებულია. მის ნაცვლათ რამოდენიმე ინსტიტუტია დაარსებული, სადაც ლექციებს ხან ქართულათ, ხან კი რუსულათ კითხულობენ. რუსიფიკაციის ტალღა ისევ აგორდა, ლენინის ენას უპირატესობა ეძლევა.

ძველ პროფესორებიდან სტუდენტობა სიძულვილით უცქერის შალვა ნუცუბიძეს, კორნელი კეკელიძეს და ჩუბინაშვილს. ნუცუბიძემ და ჩუბინაშვილმა უნივერსიტეტიდან წაიღეს პრაღაში სხვადასხვა განძი. კომუნისტურ პრესაში ხმა გავრცელდა, თითქოს მუზეუმი გაძარცვეს და გაზეთის ფურცლებზე თითქოს დაკარგულ ნივთების სიაც მოათავსეს. სტუდენტებმა არალეგალური ფურცელი გამოსცეს, რომელშიც ქართველ საზოგადოებას აცნობდენ, რომ კომუნისტური ცნობა ყალბია, დანამდვილებით ეს განძეულობა ბოლშევიკურმა მთავრობამ გაყიდა შ. ნუცუბიძისა და ჩუბინაშვილის მეოხებით. ფურცელი მთელ საქართველოში გავრცელდა. ამის გამო ჩეკამ მასიური დაპატიმრება მოახდინა.

კომუნისტ-უკლონისტთა უმრავლესობა ისევ შეურიგდა სტალინს და საქართველოში დაბრუნდა, გარდა კ. ცინცაძისა. ყოფილი უკლონისტები სხვა და სხვა უმნიშვნელო ადგილზე მოაწყვეს.

მგზავრი.

◆

საბჭ. საქართველოს კულტურული ვითარება

(წერილი საქართველოდან)

საქართველოს ინტელიგენცია შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. ერთი—სალი და გადაუგვარებელია, მარტო საკუთარ ტყავზე და კუჭზე არ ფიქრობს, ქვეყნის ავ-კარგი აინტერესებს და მომავალს შეჰყურებს; ის საბჭოების წყალობას მოკლებულია. ამ ტიპის ინტელიგენტთაგან მრავალი გადასახლებულია რუსეთის მივარდნილ და ცივ კუთხეებში; ხოლო აქ დარჩენილნი—ზოგი ციხეებში არიან გამომწყდეული და ზოგიც კიდევ უმუშევრად «ატარებს დროს». ვისაც საბჭოები არ გასწყრომია, ის მსახურობს სრულებით დაბალ, შეუფერებელ თანამდებობაზე, უუფლებო, ენაზე კლიტე დადებული მუშაობს. მას კაცათ არც კი აგდებენ. თუ მოიხსენიებენ, მხოლოდ იმისთვის რომ დასცინონ და გაანადგურონ. მათ ხომ სიტყვის თქმაც არ შეუძლიათ: დუმილი და შინაგანი ტანჯვა არის ამ ხალხის ბედი. ინტელიგენციის ამ ნაწილიდან გამოიყოფა ჯგუფი, რომელსაც ბრძოლა სწყურია, მეტის მოთმენა აღარ შეუძლიან, თავისი ადამიანური და მოქალაქობრივი უფლებების აბუჩათ აგდებას ველარ ითმენს.

მეორე ნაწილი—ეგრეთ წოდებული «საბჭოთა ინტელიგენცია» არის. გადაგვარებული, გახრწნილი, სხვის იარაღათ ქცეული, მას რასაც უბრძანებენ იმას ასრულებს. იგი ხოტბას ასხამს მას. რაც თვით არა სწამს, სწერს და ლაპარაკობს იმას, რასაც უკარნახებენ. დიდის ამბით იწყებს წარსულის გადაფასებას იმისათვის რომ თბილი ალაგი მიიღოს. ინტელიგენციის ამ ნაწილს უბეჭდავენ კიდეც (რამდენათ დღევანდელი ქაღალდის კრიზისი ნებას მისცემს) მის ძალით ნაცოდვილევს. ხოლო იმათ, ვინც საბჭოთა დუდუკზე არ უკრავს და აზროვნებს სხვაგვარად ვიდრე სტალინი, სტამბას არ გააკარებენ თუგინდ უმაღლესი მეცნიერული ღირსებებით იყოს შემკული. ამიტომ ინტელიგენციის ამ ნაწილს იძულებით წერაზე ხელი აუღია. არასოდეს ისე საშინელი და სამარცხვინო არ ყოფილა ცენზურა როგორც დღეს.

ასეთ პირობებში რას უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა სკოლა? პროგრამას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ამ ჟამად პირველ დაწყებითი სკოლები, რადგან იქ, მასწავლებლის ხელფასის სიმცირის გამო (60 მ.) პარტიულები ნაკლებათ მიდიან და ხშირად სკოლა ძველი გამოცდილი მასწავლებლის ხელშია. მეორე საფეხურის სკოლები უნუგეშო მდგომარეობაშია; იქ უფრო მეტად სწარმოებს მასწავლებელთა «შერჩევა». თუ კაცი პარტიულია, მას ეძლევა უპირატესობა, თუნდაც სრულიად უვიცი იყოს. ცენზი არაფერი მოსახმარია, საჭიროა ჯიბეში პარტ-ბილეთი გედოს. ასწავლიან ხშირად უღირსი, უცოდინარი და ზნე დაცემული მასწავლებლები. მთავარი სწავლის საგანია ლენინიზმი და ოქტომბრის რევოლიუციის შესწავლა. მოწაფეობა იმდენად დატვირთულია სხვადასხვა წრეებით, ორგანიზაციებით, კრებებით და სხვა ამგვარი ზედმეტი სამუშაოთი, რომ ვერც ამას ითვისებს ხეირიანად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე გაუქმდა და მის მაგივრად ინსტიტუტები დააწესეს. ინსტიტუტი სამ წლიანია. იქ არც მისაღები და არც სახელმწიფო გამოცდები არ არსებობს. ჩამოყალიბდა ვიწრო სპეციალური ფაკულტეტები, რომლებიც ამ ცოტა ხნის განმავლობაში გამოუშვებს უამრავ ვიწრო «სპეციალისტს». უნივერსიტეტის რეორგანიზაციას შემდეგი მოსაზრებებით ამართლებენ: ბოლშევიკები აშკარად ამბობენ, რომ მათ თეორეტიულად მომზადებული ხალხი არ ესაჭიროებათ. ჩვენ გვინდა პრაქტიკოსი, რომელსაც ექნება პრაქტიკული «ცოდნა» და შეეძლება გაერკვეს მშენებლობის საკითხებშიო. მთავარი კი ის არის, რომ უნივერსიტეტიდან ჯერ კიდევ ვერ განდევნეს ისეთი პროფესორები, რომლებიც საბჭოებს არ ეთაყვანებიან. ინსტიტუტებში კი არავითარი შინაგანი თავისუფლება არ არსებობს, ლექტორს იწვევს ინსტიტუტის დირექტორი და განათლების სახალხო კომისარი, ამ რიგად შესაძლებელი გახდება ნელნელა ინსტიტუტიდან გამოცდილი პროფესორების განდევნა და მათ ადგილას უვიც, მაგრამ ერთგულ კადრების წამოწევა. ამას გარდა, უნივერსიტეტში დღემდე კიდევ იპარებოდა ისეთი ახალგაზდობა, რომელიც საბჭოთა დუდუკზე არ ცეკვობს, და ეს მიუხედავათ მრავალი «წმენდისა». მისაღები გამოცდები უკვე მოისპო და სტუდენტებს ღებულობენ მხოლოდ სათანადო დაწესებულებიდან წარმოდგენის გზით. მოგეხსენებათ ვის წარმოადგენენ აღმასკომის თავმჯდომარეები და პარტკომის მდივნები. არც უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერული ორგანიზაცაა სანუგეშო მდგომარეობაში. მრავალი მეცნიერული დისციპლინა მოსპეს და მათ ადგილზე «პარტ-მინიმუმი» შემოიღეს. პროფესორებს წინადადება მისცეს ნაკლებათ ჩასჭრან სტუდენტი. უმთავრესათ პოლიტიკურ საგნებს ექცევა ყურადღებას. იწვევენ ლექტორებათ ახალგაზდა, მომეტებულათ უნიჭო ძალებს, რომელთაც ხშირად არამც თუ უნივერსიტეტი არ გაუთავებიათ, საშვალო განათლებაც კი არ მიუღიათ (მაგ. ალექსანდრე ერქომაიშვილი). ნიშნავენ პროფესორებათ აგრეთვე ახალგაზდა კომუნისტ ლექტორებს, რომელთაც არავითარი მეცნიერული წარსული არ აქვთ.

ამ რამდენიმე თვის წინეთ უნივერსიტეტის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე მოხდა არჩევნები. პროფესორათ აირჩიეს სხვათა შორის დავ. დოლიძე, რომელსაც არც ერთი შრომა არ გააჩნია, გარდა ერთი წერილისა, რომელიც მან მოათავსა გაზეთ «კომუნისტ»-ში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. აგრეთვე კარლო ორაგველიძე, რომელსაც დაუწერია პატარა ბროშიურები თანამედროვე საკითხებზე. არ დასტოვეს უწყალობოთ კ. სულაქველიძეც (იგი დოცენტათ აირჩიეს) და გიგლა კვიცარიძე. პროფესორათ აირჩიეს აგრეთვე «დიდი თეორეტიკოსი» მალაქია ტოროშელიძეც. ამგვარად კომუნისტებმა უნივერსიტეტის დიდი ხნიდან დაწყებული განადგურება ეხლა დააგვირგვინეს. ქართველი ახალგაზდობა მოწამლულია ამ ამბით.

ქართული ენა ხომ დიდი ხანია გამორიცხეს ხმარებიდან. დღეს დაწესებულებებში ხშირად თარჯიმანი უნდა წაიყვანოს უსწავლელმა კაცმა, იმდენი რუსები ზიან იქ სხვადასხვა განყოფილებების გამგეებათ.

ასეთია საბჭოთა საქართველოს კულტურული ვითარება.

ბოლშევიკები ბევრს გაიძახიან «შინაპარტიულ დემოკრატიაზე» და თვითკრიტიკაზე. ყველაფერი ეს ცარიელი სიტყვაა, თვითკრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ, თუ ღმერთი გაგიწყრა და სტალინის ხაზისაგან განსხვავებული აზრი გამოსთქვი, წამსვე უკან. უნდა დაიხიო, შენი «შეცდომა» საჯაროთ და სამარცხვინოთ აღიარო. აქ პრესაში ხშირად შეხვდებით—ვინმეს განსაკუთრებული აზრი აქვს რომელიმე საკითხზე; მაგრამ აი აღმოჩნდა, რომ «სოსო» ასე არ უყურებს ამ საკითხს. მეორე დღეს წაიკითხავთ ამ კაცის წუწუნს. «შევცდი, ამხანაგებო, მაპატიეთ, მართალია ჩემს მიმართ ამხანაგი სტალინი»...

თვითკრიტიკის ლოზუნგით საბრალო დაბალ მოსამსახურეებს ანადგურებენ, მაღალ კომუნისტს კი, თუ მას სტალინის ხელი აფარია, ის ვერ მისწვდება.

დღეს უკვე საქვეყნოთ აშკარა ფაქტია ბოლშევიზმის გაკოტრება, მისი ეკონომიური გალატაკება და პოლიტიკური კრახი. პარტია გამოუვალ ჩიხშია ამით აიხსნება ის გარემოება რომ აუარებელმა გადახრებმა იჩინა თავი, ყველა ეძებს გამოსავალს, გამოსავალი კი არა სჩანს. შექმნილია საერთო პანიკური მდგომარეობა; ხალხი ხსნას მხოლოდ ბოლშევიზმის დამხობაში ხედავს.

ასეთი მდგომარეობის გამო ჩვენში საზოგადოებრივი აზრი გამახვილებულია. ქართველი მშრომელი საბრძოლველად ირაზმება...

ბახი.

თბილისი.

◆

მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი

შვეციის სოც. დემოკრატიის გამარჯვება.

21 სექტებერს შვეციაში მოხდა მუნიციპალური არჩევნები. შემდგარი იყო ბლოკი ყველა ბურჟუაზიული პარტიებისა სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ. მიუხედავათ ამისა სოციალდემოკრტიამ მიიღო 558.928 ხმა, 110,676 ხმით მეტი ვიდრე წინანდელ არჩევნებში, 1926 წელს. პარტიის ძალების ასეთი ზრდა მით არის მნიშვნელოვანი, რომ ხელმძღვანელი ორგანოები არ მოელოდენ რაიმე თვალსაჩინო წინსვლას. მათი აზრით დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, თუ ისინი გაერთიანებული ბურჟუაზიული ბლოკის წინააღმდეგ წინანდელ პოზიციებს შეინარჩუნებდენ.

მუნიციპალურ არჩევნების საფუძველზე ხდება შვეციაში არჩევები პარლამენტში და ეხლა უკვე ცხადია, რომ სოციალდემოკრატ დეპუტატების რიცხვი ამ ახლო მომავალში 65 იქნება. დღეს კი მათ 150 წევრზე პარლამენტში 54 დეპუტატი ჰყავთ.

მუნიციპალური არჩევნები შვეციის კომუნისტურ პარტიისათვის წარმოადგენდა ნამდვილ კატასტროფას. მათ 36 მანდატის მაგიერ შერჩათ მხოლოდ 5. სოციალდემოკრატებს კი მუნიციპალიტეტებში 468 ადგილი აქვთ.

არჩევნები ფინლიანდიაში.

გასულ ივლისში სოციალდემოკრატებმა ხმა არ მისცეს კომუნისტების საწინააღმდეგო განსაკუთრებულ კანონპროექტს. მთავრობამ პარლამენტი დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა. მოძრაობას, რომელიც ფინლიანდიაში ლაპოს სახელით არის მონათლული, ნამდვილი ფაშისტური და რეაქციონური ხასიათი აქვს. ლაპოს მოძრაობა ღიათ და ოფიციალურათ ვითომ მიმართულია მხოლოდ კომუნისტების წინააღმდეგ, ნამდვილათ კი ის ემუქრება ფინლიანდიის მუშათა კლასს და მის მეთაურს სოც. დემოკრატიას. ლაპო შეეცადა თავის ირგლივ შემოეკრიბა ფინლიანდიის ყველა ბურჟუაზიული პარტიები, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან ცენტრის პარტიებმა ლაპოსთან კოალიციაზე უარი სთქვეს.

მიუხედავათ მემარჯვენე პარტიების ტერორისა პირველ ოქტომბრის არჩევნების დროს სოციალდემოკრატებმა მიიღეს 390 ათასი ხმა, 130 ათასით მეტი ვიდრე წინანდელ არჩევნებში. ეხლა მათ 59 დეპუტატის მაგიერ 66 წევრი ჰყავთ პარლამენტში.

კომინტერნის ინსტრუქციით კომუნისტებს ხმა უნდა მიეცათ იმ მათ ლიდერებისათვის, რომელნიც დღეს საბჭოთა რუსეთში ემიგრანტებათ არიან. კომუნისტებმა მხოლოდ ექვს ოლქში წამოაყენეს კანდიტატები, ბაგრამ ვერც ერთი ვერ გაიყვანეს, დაჰკარგეს კი 23 მანდატი.

სოციალისტების გამარჯვება სამხრეთ ვალისში.

ავსტრალიის ერთ სახელმწიფოს, სამხრეთ ვალისის საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტებმა მიიღეს 53 მანდატი, მართველ ნაციონალისტურმა პარტიამ კი მხოლოდ 34. ამნაირად სოციალისტები დღეს იქ უმრავლესობაში არიან. კომუნისტებს წამოყენებული ყავდათ 50 კანდიდატი, მაგრამ ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს.

კომუნისტური პარტიის კრიზისი.

ევროპაში კომ. პარტიების წევრთა რიცხვი დღითი დღე მცირდება. საოცარი სისწრაფით ვითარდება ეს პროცესი ორ უკანასკნელი წლის განმავლობაში. გაზეთ «პრავდას» მოწმობით, 1923 წლის შუაში ირიცხებოდა კომ. პარტიებში: გერმანიაში—124.729 წევრი, ინგლისიში—9000, ჩეხოსლოვაკიაში—150 ათასი, საფრანგეთში—52,376, ავსტრიაში—6250, ბელგიაში—500. 1930 წლის პირველ თებერვალს კი პარტიის წევრთა რიცხვი უდრიდა: გერმანიაში—124.000, ჩეხოსლოვაკიაში—35.000, საფრანგეთში—38240, ინგლისში—3.200.

ქალთა მოძრაობა გერმანიაში.

გასულ კვირეებში მთელ გერმანიაში საპროპაგანდო მიზნით გამოცხადებული იყო ქალთა ინტერნაციონალური დღე. ეს პროპაგანდა გრძელდებოდა ორი კვირის განმავლობაში და მასში მონაწილეობა მიიღო გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის მთელმა აპარატმა. განსაკუთრებით დიდი სამსახური გაუწია ქალთა შორის პროპაგანდას სოციალისტურმა პრესამ, მუშათა ახალგაზდობამ, სასპორტო საზოგადოებებმა, მუშათა მომღერალ გუნდებმა, პროფესიონალურმა კავშირებმა და სინემებმა. მოწყობილ იქნა 1200 კრებამდე და თვითეულ კრებას საშუალოთ დაესწრო 1000 მსმენელი. იმ ორი კვირის განმავლობაში გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში წევრად ჩაეწერა 10.000 ქალი. დღეს რეიხსტაგის სოც.-დემოკრატ. ფრაქციაში 15 ქალია.

უმუშევრობა ევროპაში.

შრომის საერთაშორისო ბიურო აცხადებს რომ პირველ სექტემბრისათვის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში უმუშევართა რიცხვი შემდეგი იყო: ინგლისი—2.119. 648; გერიანია—1.947.811, იტალია—393.604; პოლონეთი—170,865; ავსტრია—156,124, ჩეხოსლოვაკია—37,853, შვეცია—26.147, რუმინია—23 236; ჰოლანდია—25.772, ბელგია—15.202; საფრანგეთი—964.

◆

გვთხოვენ გამოვაცხადოთ:

საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიურომ მიიღო პრაღიდან 385 კრ. (სამას ოთხმოცდა ხუთი ჩეხ. კრონა) შეგროვილი პოლიტიკურ გადასახლებულთა სასარგებლოდ პრაღაში მყოფ ამხანაგთა შორის—ივნისში, ივლისში და აგვისტოში.

◆◆◆

ახალი წიგნი

გამოვიდა ნ. ჟორდანიას ახალი წიგნი

„ვეფხის ტყაოსანი“

გამოცემა ოდენკურის ქართველ ასოციაციის.

წიგნი შეიცავს 84 გვერდს,

დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, ლამაზი ყდით,

ღირს 8 ფრანკი.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.